ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მარგველაშვილი ღარიბაშვილის წინააღმდეგ



გვ.3



პარასკევი, 23 ოქტომბერი, 2015 №249 (6869) ფასი: 30 თეთრი

# ნიკა გვარამიამ ხელი ალექსი ახვლედიანს დაადო



რუსთავი 2-ის შეფი ოჯახის გახიზვნას აპირებს გვ.2

ალექსი ახვლედიანი: „ნიკა გვარამიას ნამდვილად შევხვდი 21 ოქტომბერს"



## რუსთავი 2-ის ეზოში კარვები გაშალეს

22 ოქტომბერს რუსთავი 2-ის ეზოში კარვები გაშალეს. კარვების გარდა, იქ გასაშლელი საწოლები და ლეიბებიც მიიტანეს. როგორც აქციაზე შეკრებილები აცხადებენ, რუსთავი 2-ის ტერიტორიაზე გასაშლელი საწოლები სწორედ მათი მოთხოვნით მიიტანეს.

ლეიბები და ღამის გათევისთვის საჭირო ნივთები ტელეკომპანიის ეზოში განთავსებულ კარვებში დააწყვეს.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ღამის გათევისთვის საჭირო ნივთები მათ მოქალაქეებმა მიაწოდეს, რათა რუსთავი 2 დაიცვან.



## რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვს

გვ.2

მოსამართლე ურთმელიძემ მისი აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა



გვ.5

## თორნიკე შარაშენიძე: „შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს“



გვ.3

## არჩილ გამზარდია: „მარგველაშვილის გამოსვლაში ნაციონალების მხარდაჭერა ჩანდა“



გვ.4

## კახა მიქაია: „მთელი სამეგრელოს სახელით მოვითხოვ ნაცმოძრაობის აკრძალვას“

„ნაციონალები საშინელ ანგარიშსწორებას იმსახურებენ, მაგრამ ჩვენ ისინი კანონით უნდა დავამთავროთ“



ISSN 1987-9385

გვ.5

## მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლება რუსეთის ინტერესებს ატარებს“



გვ.4

## ნანა კაკაბაძე: „ნაციონალებთან ერთად „ოცნებაც“ გასამართლდება“

„წამების კადრები ყველამ უნდა ნახოს“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვს



## მოსამართლე ურთმელიძემ მისი აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა

**რუსთავი 2-ის გუშინდელ სასამართლო სხდომაზე მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ისევ არ დააკმაყოფილა მისი აცილების მოთხოვნა.**

ქიბარ ხალვაშის მოპასუხე მხარემ მოსამართლის აცილების შუამდგომლობა ამჯერად რუსთავი 2-ის ეთერში გასული სიუჟეტის საფუძველზე დააყენა, სადაც საუბარია ურთმელიძის უკანონო გარიგებაზე „თელასის" იურიდიული სამსახურის უფროსთან.

აღნიშნული სიუჟეტი სასამართლოს დარბაზშიც აჩვენეს.

ასევე, ადვოკატების თქმით, ურთმელიძე იხილავს დავებს კომერციული ბანკების საქმეზე, რომელთანაც თავად აქვს ფინანსური ურთიერთობა.

ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ეს ყოველივე იძლევა მოსამართლის აცილების საფუძველს. მოსარჩელე მხარე შუამდგომლობას შეეწინააღმდეგა.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატ პაატა სალიას განცხადებით, ხალვაშმა თავისი საკუთრების დაცვის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. სალიას განმარტებით, იგი იძულებითი გარიგების გზით ჩამორთმეული წილების დაბრუნებას ითხოვს, რაზეც რუსთავი 2-ის მენეჯმენტის მხრიდან თავიდანვე დაიწყო განცხადებები, რომ მოსამართლე მიკერძოებულია, თუმცა მას არცერთი დასაბუთებული შუამდგომლობა არ დაუყენებია.

ამასთან, ხალვაშის ადვოკატი გამოეხმაურა სიუჟეტს, სადაც მოსამართლის ბანკებთან გარიგებებში შესვლაზეა საუბარი. პაატა სალიას თქმით, მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია დოკუმენტები, რითაც ეს დასტურდება.

სალიას თქმით, სიუჟეტი, რომელშიც ჩანს მოწინააღმდეგე მხარის სურვილი და მოსაზრება, არ არის აცილების საფუძველი.

– მე არ ვიცავ თამაზ ურთმელიძეს. ჩემთვის სულ ერთია, ვინ იჯდება აქ მანტიაში. თქვენი მიზანია, სამართალწარმოება აიცილოთ თავიდან, – მიმართა ხალვაშის ადვოკატმა რუსთავი 2-ის წარმომადგენლებს.

მოსამართლემ აცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ნაჩვენები სიუჟეტები მიკერძოებულია.

ის ისურვებდა, რომ ჟურნალისტები ყოველმხრივ აშუქებდნენ ასეთ საკითხებს.

– მოსამართლეს არ აქვს უფლება, ჩაერთოს პოლემიკაში საზოგადოებრივი ბრალდების ირგვლივ. თუ არ დასტურდება და მაღალი ალბათობა არ არსებობს ბრალდებისა, არ უნდა ქვეყნდებოდეს მოსამართლის ავტორიტეტის შემლახავი მასალები, – განაცხადა თამაზ ურთმელიძემ.

* * *

მოგვიანებით სხდომაზე ტელეკომპანია რუსთავი 2-მა და მისმა მფლობელებმა, ძმებმა ყარამანიშვილებმა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

აღნიშნული შუამდგომლობა მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა დააყენეს.

კერძოდ, რუსთავი 2 ითხოვს ყადაღის შემდეგ მიყენებული ზიანის, 700.000 ამერიკული დოლარის, საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანას ქიბარ ხალვაშის მიერ.

რუსთავი 2-ის მფლობელები ძმები ყარამანიშვილები კი ზიანის სახით მიყენებული 400.000 აშშ დოლარის იმავე ანგარიშზე შეტანას ითხოვენ.

როგორც მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნული თანხით სარგებლობა ახლა არ მოხდება. მათი განცხადებით, დავის მათ სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში ეს იქნება გარანტი, რომ მათ მიყენებული ზიანი აუნაზღაურდებათ.

მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამომავლოდ რა ზიანი შეიძლება მიადგეს ტელეკომპანიას და მის მფლობელებს, ამას მომდევნო 10 დღის ვადაში დაიანგარიშებენ.

შუამდგომლობაზე საპასუხოდ მოსარჩელეებმა დრო ითხოვეს, რათა ჩამოყალიბდნენ.

ისინი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ოდენობის ზიანი რეალობას არ შეესაბამება. ქიბარ ხალვაშის ადვოკატები აღნიშნულ შუამდგომლობას ორშაბათს უპასუხებენ.

აღნიშნულ განჩინებას მოსამართლე თამაზ ურთმელიძე ორშაბათს გამოაცხადებს.

მომდევნო პროცესი 26 ოქტომბერს, 10:00 საათისთვის ჩაინიშნა.

# ნიკა გვარამიამ ხელი ალექსი ახვლედიანს დაადო

## რუსთავი 2-ის შეფი ოჯახის გახიზვნას აპირებს

**გუშინ, 22 ოქტომბერს, რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიკითხა.**

ნიკა გვარამიას დაკითხვა 21 ოქტომბერს მის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა.

შეგახსენებთ, რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა 21 ოქტომბერს განაცხადა, რომ შეხვდა ადამიანს, რომელმაც მას სამთავრობო მესიჯები მიაწოდა. მისგან გვარამიამ გაიგო, რომ სასამართლო რუსთავი 2-ს ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნებს.

– მითხრეს შემდეგი – არ უნდა დამავიწყდეს, რომ ჩემი ოჯახის წევრები აქ ცხოვრობენ და ვერ მოვასწარი მათი ამერიკაში გაშვება. არ უნდა დამავიწყდეს, რომ ვიდეოზე გადაღებულია კონკრეტული ურთიერთობები და ეს გამოქვეყნდება. არ უნდა დამავიწყდეს, რომ მაქვს სატელეფონო საუბრები სააკაშვილთან და მე განადგურებული ვიქნები ჩემი კოლეგების თვალში, – განაცხადა 21 ოქტომბერს ნიკა გვარამიამ სპეციალურ ბრიფინგზე.

* * *

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის დაკითხვა მთავარ პროკურატურაში დაახლოებით ორსაათ-ნახევრის განმავლობაში გაგრძელდა.

დაკითხვის დასრულების შემდეგ ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ მან სრული ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურას. გვარამიამ საგამოძიებო სამსახურს ვიდეოჩანაწერებიც გადასცა.

– შეკითხვები ეხებოდა ფაქტებს, რომლებიც ეთერში მოისმინეთ, ადამიანს, ვინც ამაზე ისაუბრა. მე სრული ინფორმაცია მივაწოდე პროკურატურას, მათ შორის – ვიდეოჩანაწერები. ახლა გამოძიების საკითხია, თუმცა, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება არ წარიმართება, მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა იმ გამომძიებლის მიმართ, რომელმაც დამკითხა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ მეორე საქმეც არის – რუსთავი 2-ისა და მისი მონაწილეობით ფარული მიყურადების შესახებ.

– მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ნათელია, გამოძიება ერთი ნაბიჯით არ წასულა წინ. იგივე ბედი ეწევა ამ საქმესაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისი თავი უნდა განსაჯოს ხელისუფლებამ. ეს არ მოხდება, თუმცა, მოვა დრო, როდესაც ამ კითხვებს პასუხი გაეცემა. ყოველთვის ბადაშვილის არ იქნება ეს უწყება, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისივე თქმით, იგი პირველია, ვინც ამ საქმეზე დაიკითხა.

ამასთან, რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებთან არ დაასახელა ის პირი, რომელმაც მას მთავრობიდან ინფორმაცია მიაწოდა.

* * *

ამ პირის ვინაობა მთავარმა პროკურატურამ გაასაჯაროვა. ეს არის ალექსი ახვლედიანი.

– ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ხელისუფლებისგან მესიჯი საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი-2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანმა გადასცა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურამ ალექსი ახვლედიანიც დაიბარა დაკითხვაზე.

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ყოფილი ხელმძღვანელი გუშინ გვიან საღამოს გამოცხადდა მთავარ პროკურატურაში.

– არც მესინჯერი ვარ, არც შუამავალი, – განაცხადა ალექსი ახვლედიანმა დაკითხვაზე შესვლის წინ.

მან ჟურნალისტებთან დაადასტურა, რომ 21 ოქტომბერს ტელეკომპანია რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას შეხვდა.

– მე უახლოესი ორი კვირა არ ვიმყოფებოდი საქართველოში. გუშინწინ გვიან ღამით დავბრუნდი. გუშინვე უნდა შევხვედროდი ნიკას და ეს იყო ჩვეულებრივი, მეგობრული დაგეგმილი შეხვედრა, იქიდან გამომდინარე, რომ ის ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია. ის მართლაც იმყოფება ასეთ სიტუაციაში და მე არასდროს ვტოვებ ჩემს მეგობრებს. აქედან გამომდინარე, ჩამოვფრინდი თუ არა, დაახლოებით ღამის 01:00 საათზე დავუკავშირდი ნიკას. მიპასუხა, რომ მას მთელი ღამის განმავლობაში ჰქონდა თათბირები და მეორე დღეს შევხვედროდით, – განაცხადა ალექსი ახვლედიანმა.

მან თქვა, რომ 21 ოქტომბერს, შესვენების პერიოდში, გვარამიას დაუკავშირდა და შეხვედრა მოხდა რუსთავი 2-ის ოფისში, „სადაც ძალიან ხშირად ჩვენ ერთმანეთს შევხვედრივართ და გვისაუბრია".

– ძალიან ბევრი კითხვა მაქვს მე თვითონაც. სამწუხაროდ, ამ მცირე დროის ინტერვალში ვერ შევძელი, ნიკას შევხვედროდი. ჩემი დევიზია, ყველა კითხვაზე ყოველთვის პასუხი იყოს გაცემული. როგორც კი დაკითხვას მოვრჩები და ნიკა გვარამიას შევხვდები, გიპასუხებთ აუცილებლად. ყველა კითხვაზე იქნება პასუხი გაცემული, – განაცხადა ალექსი ახვლედიანმა.

* * *

– პროკურატურის მიერ მოწმე გვარამიას მიეცა წინადადება, რომ მისი და მისი ოჯახის მიმართ გამოყენებულიყო დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რაზეც მან უარი განაცხადა, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

გვარამიას თქმით, ის ოჯახის აშშ-ში გახიზვნას აპირებს.

– შემოთავაზებული იყო სპეციალური დაცვის ღონისძიებები ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. ეს იგივეა, რომ მგელმა დაიცვას ცხვარი. მე ჩემს ოჯახს ვიცავ ამ ხელისუფლებისგან, ვაპირებ მათ გახიზვნას ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნამდვილად არ ვგეგმავ, რომ ის, ვისგანაც ყველაზე უფრო დიდი საფრთხე მოდის, ავიყვანო დაცვად. ცხადია, ამაზე უარი ვთქვი, – განაცხადა რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა.

* * *

ნიკა გვარამიამ, შესაძლოა, პროკურატურას დაზარალებულად ცნობის თაობაზე მიმართოს.

ამის შესახებ გუშინ საღამოს ჟურნალისტებს ნიკა გვარამიას ადვოკატმა ლევან ვეფხვაძემ განუცხადა.

ლევან ვეფხვაძე საქართველოს მთავარ პროკურატურაში ნიკა გვარამიასთან ერთად იმყოფებოდა. – ბატონ ნიკასთან ერთად შევთანხმდებით. ალბათ, პროკურატურას მივმართავთ დაზარალებულად ცნობის თაობაზე და მოგვეცემა საშუალება, გავეცნოთ საქმის მასალებს, რომლებსაც მოიპოვებს პროკურატურა, – აღნიშნა ვეფხვაძემ.

მისივე ინფორმაციით, დაწყებულია გამოძიება.

საგამოძიებო ორგანომ ჩაიწერა ყველა ის მონაცემი და ყველა ის შესაძლო პირი, რომლებიც, შესაძლოა, დაიკითხონ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.





ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მარგველაშვილი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის კიდევ ერთხელ გაირბინა შავმა კატამ.

გიორგი მარგველაშვილმა მეოცნებეთა რისხვა ამჯერად მთავრობის მეთაურის გაკრიტიკების გამო დაიმსახურა, ირაკლი ღარიბაშვილმა კი, თავის მხრივ, ნაციონალური მოძრაობა შეაჩვენა და განაცხადა, რომ მათ პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება არ აქვთ.

21 ოქტომბერს უკრაინულმა მედიამ სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი მორიგი სკანდალური კადრები გამოაქვეყნა, რასაც საზოგადოებაში საშინელი რეაქცია მოჰყვა.

ამ კადრების აღმოჩენა ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის პერიოდში მოხდა. პრემიერს ისინი ნანახი აქვს და თავისი წილი აღშფოთება მაშინაც დააფიქსირა. ახლა ღარიბაშვილი უფრო მეტად იყო აღშფოთებული. თავისი აღშფოთება მან მთავრობის სხდომაზე დააფიქსირა.

მისი თქმით, საზოგადოება შოკირებულია იმ ვიდეოებით, რომლებიც ნახა და ამიტომაც მიდის ყოველდღე ნაცმოძრაობის ოფისებზე აგრესიის მიტანა.

ღარიბაშვილმა შს მინისტრს წესრიგის უზრუნველყოფისკენ მოუწოდა.

– რა თქმა უნდა, საზოგადოება აღშფოთებული და შოკირებულია იმ ვიდეოებით, რომლებიც ნახა. ეს ძალიან კარგად მესმის. ყოველდღე მიდის ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე აგრესიის მიტანა. ეს რეაქცია ჩემთვის გასაგები და ბუნებრივია. ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდებოდა ასეთი რეაქცია ამ კადრების ნახვის შემდეგ, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ წესრიგი, კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს პროტესტის გამოხატვა და რეაქცია არ უნდა გადავიდეს მის მიღმა. ეს მნიშვნელოვანია, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება.

– ამით არ ვახალისებ ძალადობას, თუმცა, მე არ მაქვს უფლება, ავუკრძალო ადამიანებს, გამოხატონ თავიანთი აზრი, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მან მთავრობის სხდომიდან ყოფილ ხელისუფლებას საგანგებოდ მიმართა და საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდა ურჩია.

ირაკლი ღარიბაშვილი:

– ბოლო შანსი გაქვთ თქვენ ყველას, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას, რომ საზოგადოებას ბოდიში მოუხადოთ და ყოველგვარ პროვოკაციას თავი დაანებოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ადამიანები მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. არა მხოლოდ ხელისუფლებისგან, თუ კანონს გადავლენ, არამედ ხალხისგან.

მისი თქმით, ნაციონალებმა მადლობა უნდა თქვან იმისთვის, რაც ხალხმა ამ სამი წლის განმავლობაში ის არ გაუკეთა, რაც ხდება ამ ვიდეოებში.

– მე შეიძლება უხეშად გამოვდივარ, მაგრამ ისინი ამას იმსახურებენ. ჩვენგან დემოკრატიული მოქცევა და ადამიანური მოპყრობა მათ ვერ დააფასეს. ნურავის ექნება იმის განცდა, რომ ასეთ სადისტებს, არაადამიანებს, რომლებიც, ალბათ, 50-100 კაცია დარჩენილი, სხვათა შორის, მაინტერესებს რამდენია ასეთი, გამოვიდნენ და ვნახოთ, მათ სახელმწიფო რაიმე უკანონობის ჩადენის უფლებას მისცემს.

მთავრობის მეთაური გაოგნებულია იმით, რომ აქცენტი მხოლოდ იმაზე კეთდება, თუ როგორ მოხდა წამების ამსახველი ვიდეოების გავრცელება:

– მგონი, ამ ადამიანებს არც იმდენი ცოდნა აქვთ, რომ ასეთი მასალის განადგურება არავის შეუძლია. ეს მასალები დევს საქმეში და პროკურატურაში ინახება. ასევე მე ვიცი, რომ ასლები გადაცემული აქვთ დაცვისა და ბრალდების მხარეებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



---

პრემიერის განცხადებას სასწრაფო რეჟიმში გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი.

გიორგი მარგველაშვილმა ღარიბაშვილი სიტუაციის დაძაბვაში დაადანაშაულა.

მისი განმარტებით, ბოლო დღეებში განვითარებულმა პროცესებმა კონსტიტუციური წესრიგის დარღვევისა და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობები შექმნა.

პრეზიდენტის თქმით, კონსტიტუციის დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა, პირველ რიგში კი – საქართველოს ხელისუფლების.

– სამწუხაროდ, მთავრობის მეთაურის დღევანდელმა გამოსვლამ სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად მეტი დაძაბულობა შეიტანა ისედაც რთულ ვითარებაში. მოვუწოდებ ყველას, თავი შეიკავოს მძაფრი ნაბიჯებისგან და მოთოკოს ემოციები, გავუფრთხილდეთ სამოქალაქო მშვიდობას, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა მოუწოდა რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლეს, არ მიიღოს ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება, რაც კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას.

– არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ახლა ვიწყებ კონსულტაციებს პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, რათა შევინარჩუნოთ სამოქალაქო სტაბილურობა, მშვიდობა და კონსტიტუციური წესრიგი ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

....................

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირებაში დეპუტატები და არასამთავრობოები დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ.

ირაკლი ღარიბაშვილის შეჩვენების სურვილმა შვედეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდტსაც შეუღიტინა. ის მთავრობის მეთაურის განცხადებით უკიდეგანოდ შეშფოთდა.

– ეს არის საკმაოდ აღმაშფოთებელი განცხადებები პრემიერ-მინისტრის მხრიდან, რაც სცილდება დემოკრატიული ნორმების ფარგლებს, – აღნიშნა კარლ ბილდტმა.

აღშფოთებას ვერც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე მალავს, ოღონდ მისი აღშფოთება პრეზიდენტისკენ არის მიმართული.

– პრეზიდენტი საკმაოდ აღელვებული მომეჩვენა და მომეჩვენა, რომ მის გამოსვლაში აქცენტები ცოტა გადამეტებულად იყო გაკეთებული. აბსოლუტურად გაუგებარია ჩემთვის, რის საფუძველზე და რომელი მოტივაციიდან შეიძლება ვისაუბროთ, რომ კონსტიტუციურ წესრიგს რაიმე საფრთხე ელოდება საქართველოში, – განაცხადა კვაჭანტირაძემ.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური მარგველაშვილის ფსიქიკით დაინტერესდა და განცხადებაც დაუგმო.

– პრეზიდენტს თუ ასეთ კადრებზე არ აქვს ემოცია, ცუდად ყოფილა მისი საქმე. ეს ახლა არ მინახავს, მაგრამ ვნახე ადრე, დახურულ ჩვენებაზე. მიჭირს, მოსახლეობას მოვუწოდო, ასეთი კადრების ხილვის შემდეგ ემოციები მოთოკონ. ყველას მოვუწოდებ, რომ ყველა საკითხი სამართლებრივად გაირჩეს, მაგრამ მოსახლეობას ყველაზე მეტად ნერვებს ის უშლის, რომ ვინც ასეთი ქმედების დროს ხელისუფლებაში იმყოფებოდა და ხშირ შემთხვევაში თვითონვე წერდა სცენარებს, დღეს გამოდის დაჩაგრულის როლში, – განაცხადა მეჭიაურმა.

ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს თინა ხიდაშელიც აუმხედრდა. მანდილიანმა ამირსპასალარმა მარგველაშვილის განცხადებას უპასუხისმგებლო უწოდა.

მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილის განცხადება სიმართლეს არ შეეფერება და საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს საფრთხე არ ემუქრება.

– საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს საფრთხე არ ემუქრება ქვეყანაში. ეს არის უპასუხისმგებლო განცხადება ნებისმიერი ადამიანის მხრიდან და ნებისმიერი თანამდებობის პირისგან, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს.

როდესაც იწყებ საუბარს იმაზე, რომ დიალოგს იწყებს კონსტიტუციურ წესრიგზე, მაშინ ამის ნიშნები უნდა იყოს ქვეყანაში. ქვეყნის პრეზიდენტი ასე არ უნდა საუბრობდეს. სანამ ვინმეს მიუთითებ, რომ ვინმე რამეს ძაბავს, სწორედ მისი მხრიდან ამ ტიპის განცხადების გაკეთება არის ვითარების დაძაბვა, – განაცხადა ხიდაშელმა.

პრეზიდენტის მოსაზრებას არც სასჯელაღსრულების მინისტრი ეთანხმება.

კახა კახიშვილის თქმით, ასეთი განცხადებები სიტუაციის ესკალაციას ემსახურება:

– მე ძალიან დიდ პატივს ვცემ პრეზიდენტის ინსტიტუტს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დღევანდელი მისი განცხადება პირდაპირ ემსახურებოდა სიტუაციის ესკალაციას. როდესაც პრეზიდენტი საუბრობს იმაზე, რომ კონსტიტუციურ უსაფრთხოებას პრობლემები აქვს, ამის საფუძვლებიც უნდა ჰქონდეს, – აღნიშნა კახიშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ კორძაია მარგველაშვილს არ ეთანხმება, მაგრამ განცხადებას პრემიერსაც უწუნებს.



– არა მგონია, ეს წახალისებას ნიშნავდეს. ეს მისი მოსაზრებაა. მე მსგავს განცხადებებს არასოდეს გავაკეთებ, პრემიერი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს, –? განაცხადა თამარ კორძაიამ.

....................

ყოფილმა თანამებრძოლებმა პრეზიდენტი სასამართლოზე ზეწოლაშიც დაადანაშაულეს.

კახა კახიშვილის თქმით, 22 ოქტომბერს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება სასამართლოს საქმიანობაში ჩარევაა.

– არავის აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩარევის უფლება. პრეზიდენტმა შეიძლება მოითხოვოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ხისტი და ნაჩქარევი არ იყოსო, ან როგორ შეიძლება, სასამართლო გადაწყვეტილება იყოს ხისტი ან ნაჩქარევი? გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო თუ არ იქნება, ამ შემთხვევაში მხარეს გასაჩივრების უფლება აქვს, – აცხადებს კახი კახიშვილი.

სახელმწიფოს მეთაურის მიმართ იგივე პრეტენზიები აქვს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესაც.

მისი განცხადებით, პრეზიდენტის მხრიდან მოსამართლის მიმართ ზეწოლის ნიშნები იკვეთება. მან მარგველაშვილს განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთებისკენ მოუწოდა.

....................

დღის ბოლოს მარგველაშვილმა მეოცნებეები კიდევ ერთხელ გაამწარა – ის ნაციონალური მოძრაობის წევრებს შეხვდა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გაიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ გიგა ბოკერია, ირმა ნადირაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი და სერგო რატიანი.

ნაცმოძელთა განცხადებით, პრეზიდენტთან საუბარი შეეხო ქვეყანაში დღეს არსებული კრიზისის საფრთხეებს.

– ნაციონალური მოძრაობა არ აპირებს პროცესების შემდგომ ესკალაციას და სურს ქვეყნის სწორი განვითარება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა.

პრეზიდენტი გუშინ გვიან საღამოს ტელეკომპანიების ხელმძღვანელებსაც შეხვდა.

# არჩილ გამზარდია: „მარგველაშვილის გამოსვლაში ნაციონალების მხარდაჭერა ჩანდა“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი არჩილ გამზარდია ამბობს, რომ რუსთავი 2-თან დაკავშირებულ პროცესს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ცუდი კვალიფიკაცია მისცა და მის განცხადებაში ნაციონალებისადმი მხარდაჭერის ალბათობა ჩანდა.**





– გიორგი მარგველაშვილმა მთავრობის მეთაური ძალადობის წახალისებაში დაადანაშაულა. სინამდვილეში პროცესს სამოქალაქო დაპირისპირების კვალიფიკაცია მისცა. ეს ძალადობის უფრო დიდი წახალისებაა, – აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, პრეზიდენტი ინტელექტით, ფორმით, აზრით, გამოხატვით ძალიან კვალიფიციური იყო, მაგრამ მის ამ პატარა გამოსვლაში იმალებოდა ორი ცუდი რამ:

– პირველი – რატომღაც მთელი აქცენტი გადაიტანა მთავრობის მეთაურზე მისი მხრიდან ნეგატიურ შეფასებებზე.

***– მთავრობის მეთაურს ნეგატიური შეფასებები არ ჰქონდა?***

– მთავრობის მეთაურს ნეგატიური შეფასებები ჰქონდა, მაგრამ პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგი მოიწვია, რომ მთავრობის მეთაურზე ეთქვა ცუდი. ეს ცოტა გაუგებარია. მეორე ცუდი რამაა პროცესისთვის სამოქალაქო დაპირისპირების შეფასების მიცემა. ეს საშიში პრეცედენტია. პრეზიდენტი ასე არ უნდა იქცეოდეს, თუკი ის ცდილობს პროცესის დარეგულირებას.

***– სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები ჩანს?***

– მე ვერ ვხედავ სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნებს.

***– ნაცმოძრაობის ოფისებთან განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ხომ არ შეაფასა პრეზიდენტმა სიტუაცია დაპირისპირებად?***

– აქ ძალიან ფრთხილი შეფასებაა საჭირო. მე სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობების ვერც არსებობასა და ვერც არარსებობაზე ვერ ვილაპარაკებ. ამგვარი კვალიფიკაცია არ უნდა შემოვიტანოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ველში, თუკი ამას უკიდურესი აუცილებლობა არ მოითხოვს.

სამოქალაქო დაპირისპირების კვალიფიკაციის შემოტანა ჩემთვის უფრო დიდი დანაშაულია. არ შეიძლება, საზოგადოებას უთხრა, თქვენ ერთმანეთთან დაპირისპირებულები ხართო.

***– პოლიტიკური დაპირისპირება არსებობს?***

– შეიძლება, პოლიტიკური დაპირისპირება არსებობს დესტრუქციულ დონეზე ზოგიერთის მხრიდან, მაგრამ ეს არ არის სამოქალაქო დაპირისპირება. ამიტომ პრეზიდენტმა მეტი უნდა იფიქროს, სანამ ილაპარაკებს და მეტად უნდა გააკონტროლოს საკუთარი მოსაზრებები, უნებურად არ დაუშვას ძალიან მშვიდ და მწყობრ საუბარში ისეთი უაღრესად დიდი შეცდომა, როგორიც არის განცხადება სამოქალაქო დაპირისპირების შესახებ.

***– მარგველაშვილმა პრემიერს მოუწოდა, ემოციები მოთოკეო. ეს კორექტული მოწოდებაა?***

– პრემიერის გამოსვლა არ იყო შესაქები. პათოსში ვუერთდები პრეზიდენტს, რომ პრემიერი ფრთხილი უნდა იყოს. პრემიერის ნაკლია პოლიტიკური არტისტიზმი და დიპლომატიური ლექსიკა.

***– პოლიტიკური არტისტიზმი პოლიტიკოსისთვის აუცილებელია?***

– აუცილებელია, ბუნებრივია, მით უმეტეს – თანამდებობის პირისთვის.

***– ბიძინა ივანიშვილს რამდენად აქვს პოლიტიკური არტისტიზმი?***

– ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური არტისტიზმი აბსოლუტურად არ აქვს.

***– არის თუ არა საშიშროება, რომ რუსთავი 2-ის წილების გადანაწილების საკითხის გარკვევა სახელისუფლებო შტოებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდოს?***

– არა, ამის საშიშროება არ არის.

***– ამის ნიშანი არ იყო პრეზიდენტის განცხადება?***

– არა, პრეზიდენტი, საერთო ჯამში შეიძლება, ისე გამოვიდეს, რომ არც გაკეროს და არც გაჭრას ან ნაცმოძრაობის მხარდამჭერი განცხადება გააკეთოს.

***– პრეზიდენტის განცხადება იყო ნაცმოძრაობის მხარდამჭერი?***

– ამის ალბათობა პრეზიდენტის გამოსვლაში ჩანდა. პრეზიდენტმა ისეთი კითხვა დასვა, რომ წერტილი არ დაუსვა. ამიტომ პრეზიდენტის გამოსვლაში ნაციონალების მხარდაჭერის ალბათობა ჩანდა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნანა კაკაბაძე: „ნაციონალებთან ერთად „ოცნებაც“ გასამართლდება“

ნონა ცაბაძე

**უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ წამების კადრებზე ყველაზე მეტად ხელი ნაციონალურ მოძრაობასა და ხელისუფლებას მიუწვდებათ.**

მისი აზრით, ამ კადრების გავრცელებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ხელისუფლებაა.

– დღეს ნაციონალური მოძრაობის პასუხისმგებლობა ვერ დადგება, ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულება, მათ აქვთ თუ არა კიდევ ეგზემპლარები. ხელისუფლებას ყველაზე ნაკლებად უნდა აწყობდეს ამ კადრების აფიშირება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ხელისუფლებას თუ ამ კადრების გამო ნაციონალური მოძრაობის პასუხისმგებლობა უნდოდა, ის ამას მტკიცებულებად წარუდგენდა თავის დროზე და დღესაც. არასოდეს არის გვიან, მაგრამ „ოცნება“ არც თავის დროზე აპირებდა ამ კადრების მიხედვით პასუხისმგებლობის დაყენებას და არც დღეს აპირებს.

***– ვერ დაადგინეს კადრების მიხედვით დამნაშავეები?***

– კარგით, რა! რა უნდა მათ დადგენას! ყველაფერი სახეზეა, ვინ იყო იმ პერიოდში სასჯელაღსრულების მინისტრი, ვინ იყო დირექტორი კონკრეტული დაწესებულებისა, სადაც ეს ხდება, ვინ იყვნენ ის თანამშრომლები! არ არსებობს ადამიანი, რომლის იდენტიფიცირებაც არ შეიძლება.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ ვისზეც ჰქონდათ მტკიცებულებები, ისინი გასამართლებულები არიან.***

– დღეს სულ 10-11 კაცია გასამართლებული წამებაზე, მაშინ როდესაც სისტემური ხასიათი ჰქონდა ამას და 25 ათასი ადამიანია ამ მდგომარეობაში ჩაყენებული. ამას 10 და 11 კაცი როგორ გააკეთებდა. ეს ხომ აბსურდია! თავისთავად, ხელისუფლებამ არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, რასაც კანონი ავალდებულებდა. მათ ეს მტკიცებულებები არ წაუყენეს კონკრეტულ დამნაშავეებს.

***– დღეს გამოდიან ნაციონალები და აქეთ სდებენ ბრალად ხელისუფლებას, დამნაშავეები არ დასაჯეს და გმირებად აქციესო.***

– ეგენი ხომ დემაგოგები არიან! ეს მათი პოლიტიკაა. აბა, წაუყენონ ბრალი, მერე თუ არ დაიწყებენ ყვირილს, პოლიტიკური დევნა არისო. დღეს მთავარი ის კი არ არის, ნაციონალები რას ლაპარაკობენ, ნაციონალები საერთოდ არ და ვერ უნდა ლაპარაკობდნენ! ესენი უნდა გასამართლებულიყვნენ, ამ ყველაფერს შეფასება უნდა მისცემოდა. აი, რა არის ხელისუფლების დანაშაული!

ნანა კაკაბაძე იხსენებს, რომ პირველი, ვინც სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამოვიდა, სწორედ მათი ორგანიზაცია იყო, რომ მათ 50 ათასზე მეტი ხელმოწერა გაუგზავნეს პარლამენტს, მათ კი ხალხის აზრი არაფრად ჩააგდეს.

– დღეს ჩვენ ნაციონალების პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალიან საეჭვო და საშიში ტენდენციაა ხელისუფლების, რომ მათ ეს ნაბიჯი არ გადადგეს და დღეს მხოლოდ მანიპულირებენ ამ კადრებით.

კაკაბაძის განცხადებით, ხელისუფლების მანიპულირების გამო ისევ ის ადამიანები ზარალდებიან, რომლებიც იმ რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ, რომლებიც გაუპატიურებული და ნაწამები იყვნენ.




## „წამების კადრები ყველამ უნდა ნახოს“

***– ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ავრცელებს ამ კადრებს, რათა არჩევნების წინ ხალხს ნაციონალების სახე შეახსენოს?***

– ხელისუფლება ავრცელებს თუ არ ავრცელებს, ის ამით მანიპულირებს. დღეს მანიპულირების პოზაში კი არ უნდა იყოს ხელისუფლება, მათ უნდა ასამართლებდეს! სულ თარიღებით არის ეს ფირები გადაღებული. ყველა დეტალის დადგენაა შესაძლებელი. ყველაფერი სახეზეა.

***– რა იყო რეალური მიზეზი, რატომ არ გასამართლდა რეჟიმი?***

– ამაზე დღევანდელი ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა უნდა გასცენ პასუხი. ამ კადრების გამო რატომ არ არიან პასუხისგებაში მიცემული კონკრეტული პირები?! ხომ არსებობს კადრები, მტკიცებულებები!

***– კადრების საჯაროდ ჩვენებაზე რას ფიქრობთ? ამბობენ, რომ არ უნდა ხდებოდეს მისი საჯაროდ ჩვენება.***

– ატეხეს ერთი ამბავი, არიქა, ადამიანის უფლებები და ვისაც არ ეზარება ჩვენს ქვეყანაში, ყველა ადამიანის უფლებებზე საუბრობს იმის მიუხედავად, საერთოდ წარმოდგენა აქვთ თუ არა ამ უფლებებზე! რას ნიშნავს განცხადებები, რომ ამ კადრების ჩვენება და საჯაროდ გამოტანა არ შეიძლება?!

***– თქვენ მომხრე ხართ ამ კადრების ჩვენების?***

– რასაკვირველია, ოღონდ იქ დაცული უნდა იყოს დაზარალებული, მსხვერპლი, არ უნდა მოხდეს მისი იდენტიფიცირება. ის აბსოლუტურად დაფარული უნდა იყოს, ხოლო ეს კადრები აუცილებლად უნდა იყოს სამსჯავროზე გამოტანილი. სწორედ ეს არის ბრძოლა ამ ქმედებების წინააღმდეგ! უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რა მანკიერება, რა უბედურება მოიტანა ამ მმართველობამ!

მათი სახეები, ვინც ამ სისასტიკეს ჩადიოდა, ყველამ უნდა ნახოს! მათ, ვინც დღეს ამბობს, რომ ამ კადრების ჩვენებით ადამიანის უფლებები ილახება, წარმოდგენა არ აქვთ, რა არის ადამიანის უფლებები!

უფლებადამცველის აზრით, საზოგადოება პასუხს აუცილებლად მოსთხოვს ხელისუფლებას. დღეს ენდიაი რომ ბედავს და წერს, თითქოს ყველაზე რეიტინგული პარტია ნაციონალური მოძრაობაა, ეს სწორედ ამჟამინდელი ხელისუფლების დანაშაულია.

– ხელის დაფარება არანაკლები დანაშაულია. ამ დანაშაულისთვის ნაცებთან ერთად „ოცნებაც“ გასამართლდება, თუკი ჩვენს ქვეყანას ნორმალური ხელისუფლება ეღირსა, – აცხადებს ნანა კაკაბაძე.

# კახა მიქაია: „მთელი სამეგრელოს სახელით მოვითხოვ ნაცმოძრაობის აკრძალვას“

შორენა მარსაგიშვილი

**რა ზომები უნდა მიიღოს ხელისუფლებამ, ვის უნდა აჩვენონ წამების ამსახველი კადრები, რას ითხოვს სამეგრელოს მოსახლეობა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.**

## „ნაციონალები საშინელ ანგარიშსწორებას იმსახურებენ, მაგრამ ჩვენ ისინი კანონით უნდა დავამთავროთ“




**კახა მიქაია:**

– ამ დღეებში საზოგადოებამ ორჯერ იხილა იმ საშინელების ამსახველი კადრები, რასაც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები სამეგრელოში ჩადიოდნენ. საზოგადოებამ ამის შესახებ გადმოცემით იცოდა, მაგრამ, როცა ნახავ, კიდევ უფრო მწვავედ აღიქვამ იმ სურათს. მთელი სამეგრელო გამწარებული და აღშფოთებულია, მაგრამ პროტესტის ფორმებით უკმაყოფილო ვარ.

***– რითი ხართ უკმაყოფილო, ნაციონალების ოფისი რომ დაარბიეს?***

– უკმაყოფილო ვარ იმით, რომ პროტესტის გამოსახატავად მხოლოდ 250 კაცი გამოვიდა ქუჩაში. ერთი წამით წარმოიდგინეთ, ასეთი რამე დასავლეთის რომელიმე ქვეყანაში რომ მომხდარიყო. იქ ასეთი კადრები რომ გავრცელებულიყო, ხალხი იქაურობას გადაწვავდა.

ჩემი აზრით, 17 ოქტომბერს როცა ასეთი კადრები პირველად გავრცელდა, ზუგდიდის ცენტრალური მოედანი უნდა გადაჭედილიყო. ხალხს დამნაშავეების დასჯა და ნაციონალური მოძრაობის გაუქმება უნდა მოეთხოვა. 250-კაციანი საპროტესტო აქცია, ბუნებრივია, შედეგს ვერ გამოიღებდა. იმავე დღეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნაციონალებზე მეტი საშინელება ჩაიდინა.

***– რა ჩაიდინეს ასეთი, ბატონო კახა?***

– ის საშინელება, ის საზარელი კადრები ზუგდიდის ბულვარში დამონტაჟებულ მონიტორზე აჩვენეს. ამ მარაზმს მაშინვე გამოვეხმაურე და ხელისუფლებას ასეთი რჩევა მივეცი: ბიჭებო, წაიღეთ ეს კადრები და თქვენთან პორტირებულ ნაციონალებთან ერთად უყურეთ.

საზოგადოებისთვის ამ ფორმით ამ კადრების ჩვენების სასტიკი და კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, იმასაც ვიტყვი, რომ ხალხს სათანადო რეაქცია არ ჰქონია.

***– ნაცმოძრაობის ოფისის დარბევასაც არ მიიჩნევთ სათანადო რეაქციად?***

– ნაციონალების ოფისების დარბევით უკმაყოფილო ვარ.

***– ეგ როგორ გავიგოთ? თან ამბობთ, ხალხს სათანადო პროტესტი არ გამოუხატავსო და თან – ნაცმოძრაობის ოფისების დარბევა არ შეიძლებაო.***

– ნებისმიერი პარტიის, მათ შორის ნაციონალების ოფისის დარბევის წინააღმდეგი ვარ. ნაცმოძრაობას ოფისი კი არ უნდა დაურბიო, კანონის სრული დაცვით უნდა დაასამარო.

ვაცხადებ ხმამაღლა, რომ დავგმობ ნებისმიერი ტიპის ძალადობას. წამება, გაუპატიურება, შეურაცხყოფა და ადამიანების უფლებების დარბევა წარსულს ჩაბარდა, რადგან ეს ყოველივე მიხეილ სააკაშვილთან ასოცირდება. დღევანდელი ხელისუფლება უნდა განსხვავდებოდეს ის საზიზღარი რეჟიმისგან და მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედებდეს.

***– განსხვავდება დღევანდელი ხელისუფლება ნაციონალებისგან?***

– ღმერთმა დაგვიფაროს, რომ იმ რეჟიმის მსგავსი გამეორდეს საქართველოში. „ქართული ოცნება“ მოძალადე ხელისუფლება არ არის, მაგრამ იმ საშინელ კადრებთან დაკავშირებით შეცდომა დაუშვა.

***– თქვენც იმას ფიქრობთ, რომ ამ საშინელების გავრცელების უკან მმართველი ძალა დგას?***

– მეეჭვება, ამაში „ქართული ოცნების“ ხელი ერიოს, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გავრცელებული კადრები საჯაროდ არ უნდა აჩვენოს. ასევე კარგად უნდა განემარტოს მოსახლეობას, რა ტიპის კადრებია ეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოდიან და მათ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებად მოიხსენიებენ. გაიგეთ, ხალხო, ეს არ არის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. ეს არის დანაშაული. ეს ჩვეულებრივი კი არა, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. ეს საშინელება სახელმწიფომ საკუთარ მოქალაქეებს მოუწყო.

***– ბატონო კახა, ეს საშინელი ფაქტები რატომ ხდებოდა მაინცდამაინც სამეგრელოში, თუ სხვა კუთხეებშიც იყო ასეთი სამალავები და ჯერ მათი გასაჯაროება არ მომხდარა?***

– ნაციონალური მოძრაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებდა ტერორს, მაგრამ სამეგრელოში მაინც განსაკუთრებულ სისასტიკეს ჩადიოდა. ის, რაც აქ ხდებოდა, მთელმა სამეგრელომ იცოდა, მაგრამ ვერავინ ბედავდა ამაზე ხმის ამოღებას. ყველამ იცოდა, რა მოუვიდოდა, თუ ხელისუფლებას დაუპირისპირდებოდა, ასეთივე ძალადობის მსხვერპლი გახდებოდა. ამიტომ ჰქონდა მთელ კუთხეს პირში წყალი ჩაგუბებული.

ამ საშინელების გაპროტესტება მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ვბედავდით. მართლა საშინელება გადაიტანა ჩემმა კუთხემ და ხალხი იმ კოშმარიდან დღესაც ვერ გამოსულა.

გაინტერესებთ, რატომ გაიმეტეს ასე მწარედ ჩემი კუთხე? სააკაშვილის დასაყრდენი ძალა – ახალაიები, კოდუები, ლომაიები, გოროზიები, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევასთან არიან ასოცირებული, ამ კუთხიდან არიან. ამ სისასტიკით მათ თავიანთ პრეზიდენტს საკუთარი ძალა დაანახეს.

ეროვნული მოძრაობის დაწყებიდან დღემდე ჩემი მხარე ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკური მოვლენის ავანგარდშია. სააკაშვილმა სწორედ სამეგრელოს დახმარებით მოაწყო ვარდების რევოლუცია და შევარდნაძე ჩამოაგდო. მან კარგად იცოდა, რა ენერგია იყო აქ და გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან ეს ძალა მას შეუბრუნდებოდა, ამიტომაც მოექცა ასე სასტიკად ხალხს.

ამ იარების მოშუშებას დიდი დრო დასჭირდება. ხალხი კიდევ დიდი ხანი ვერ გამოვა იმ შიშიდან, რაშიც 9 წლის განმავლობაში აცხოვრეს.

***– ისევ ეშინიათ ნაციონალების?***

– ისევ ეშინიათ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ისინი ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. მე მოვუწოდებ ყველას, გამოვიდეთ და გავმართოთ მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ.

მთელი სამეგრელოს სახელით მოვითხოვ ნაციონალების აკრძალვას და ვიცი, ამაში სხვა კუთხეებიც შემოგვიერთდებიან. უნდა დავიწყოთ მძლავრი აქციები და კანონის ძალით ავკრძალოთ ეს დამნაშავეები.

***– თქვენთან ბევრჯერ ჩამიწერია ინტერვიუ და ასეთი მშვიდი ტონი არასდროს გქონიათ, ადრე აღშფოთებას სხვანაირად გამოხატავდით.***

– მშვიდი ტონი კი არ მაქვს, განადგურებული და დათრგუნული ვარ. მთელი ეს წლები ლამის ერთადერთი ვყვიროდი, რომ ასეთ საშინელებებს ჩადიოდნენ, მაგრამ ამ კადრებმა დამთრგუნა. ვერც კი აღვწერ, რას განვიცდი.

ნაციონალები საშინელ ანგარიშსწორებას იმსახურებენ, მაგრამ ჩვენ ისინი კანონით უნდა დავამთავროთ.

# მამუკა გიორგაძე: „ხელისუფლება რუსეთის ინტერესებს ატარებს“



მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიჰყავს. თავის მხრივ, ნაცმოძრაობის ლიდერები ირწმუნებიან, რომ დესტაბილიზაცია და ოპოზიციის განადგურება მმართველი კოალიციის ინტერესებშია.**

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არეულობისა და ქაოსისკენ ნაბიჯები მიზანმიმართულად იდგმება.

**მამუკა გიორგაძე:**

– საქართველოს საზოგადოებას აყენებენ არჩევანის წინაშე: ან უნდა აღმოვჩნდეთ ქაოსის მორევში, იმიტომ, რომ ეს მოჰყვება სამართლიანობის აღდგენას, ან სამართლიანობა ვერ იზეიმებს. ყველაფერი იქიდან მოდის, რომ ხელისუფლება არ დგამს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას, არ იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს, ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. ეს ეხება ყველაფერს, მათ შორის, სამართლიანობის დამკვიდრებას. შედეგად წარმოიშობა ქაოსი, რომელიც ძალიან აწყობს რუსეთს.

***– ნაცმოძრაობაც გეგმავს არეულობას.***

– რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობაც არ აკლებს ხელს, რომ არეულობა იყოს. ავარია ვერ მოხდება, თუ ამაში ორი მხარე არ მიიღებს მონაწილეობას. ხელისუფლებაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ის არის ქვეყანაში პასუხისმგებელი. „ქართული ოცნება“ აგებს პასუხს ყველაფერზე, მათ შორის იმაზე, რასაც ნაციონალური მოძრაობა აკეთებს.

მამუკა გიორგაძე ფიქრობს, რომ ბოლოდროინდელი მივარდნები ნაცმოძრაობის ოფისებზე ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. ასევე ხელოვნურადაა შექმნილი სკანდალი ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გარშემო.

– დასასჯელი არიან პირები, რომლებსაც მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი. ისინი ახლა მორალს გვიკითხავენ. კეთილი ინებოს „ოცნებამ“, უკანონობას ნუ დაუშვებს, როცა აუცილებელია, შესაბამისი ზომები მიიღოს და ნუ დაგვიწყებს აპელირებას იმაზე, თუ რა გეგმები აქვთ ნაციონალებს. უნდა იმუშაონ სახელმწიფო ინსტიტუტებმა, თორემ იქმნება საშიში ტენდენცია, ხელი ეწყობა ორი ჯგუფის ერთმანეთთან დაპირისპირებას, – ამბობს პოლიტიკოსი.

***– არადა, აქამდე საზოგადოება კოაბიტაციას აპროტესტებდა.***

– ეს იდეოლოგია ხელისუფლებიდან მოდიოდა. ხალხს არწმუნებდნენ, რომ ნაცმოძრაობის გადარჩენა დემოკრატიის გადარჩენაა. ასევე გავრცელდა დავით უსუფაშვილის თეზა იმის შესახებ, რომ სამართლიანობის აღდგენა დაპირისპირებას გამოიწვევს. ახლა უნდათ, ტვინგაცხელებული ადამიანები ერთმანეთს დაატაკონ. ატეხილია ერთი ამბავი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თემაზე. ამორალურია, რომ სიტყვის თავისუფლების მედროშედ გვევლინება რუსთავი 2.

***– შექმნილი სიტუაციით რუსეთი ისარგებლებს?***

– ყველაფერი მიმდინარეობს ისე, როგორც რუსულ სცენარშია. რუსეთი დაინტერესებულია იმით, რომ ჩვენ სახელმწიფო არ გვქონდეს. საუბედუროდ, ჩვენ თვალწინ ინგრევა სახელმწიფო ინსტიტუტები.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, სასამართლო სამართალს ვერ ამყარებს. ის დაკავებულია კლანებს შორის დავებით. პროკურატურა ვერ მუშაობს, შსს-ს ფუნქციები გაურკვეველია, რას წარმოადგენს უშიშროება, ვერ გავიგეთ. ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების დეგრადაცია.

***– საბოლოო ჯამში, მთავრობა ხომ მუშაობს?***

– როგორ მუშაობს, როცა გამოვა ერთი მინისტრი და გააკეთებს განცხადებას რომელიმე გადაწყვეტილებაზე განმარტებების გარეშე, შემდეგ მოვისმენთ მეორე მინისტრის განცხადებას, რომელიც მისი კოლეგის გამოსვლის საპირისპიროა.

ჩვენ ვერ ვხედავთ იმ ფასეულობებს, რომლებისთვისაც ვიბრძოდით. არც სამართლიანობაა, არც ადამიანის უფლებების დაცვა, არც ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი და კარგი საარჩევნო გარემო. ამასობაში ხდება დასავლური ღირებულებების, დასავლეთის დისკრედიტაცია მოსახლეობის თვალში.

– რუსეთს სწორედ ეს უნდა. „ქართული ოცნება“ თავისი უმოქმედობითაც აკეთებს იმას, რაც რუსეთის ინტერესებშია. მეოთხე წელიწადია, ეს კოალიცია ხელისუფლებაშია და ვერაფრით მოახერხა ურთიერთობების მოგვარება ევროპის სახალხო პარტიასთან, – აცხადებს მამუკა გიორგაძე.

***– პირიქით, ამ პარტიასთან დაძაბული აქვთ ურთიერთობა.***

– ჩვენ, სახალხო პარტიას, არ გვაძლევენ ევროპელ კოლეგებთან ურთიერთობის საშუალებას და არც თვითონ აგვარებენ სიტუაციას. „ქართული ოცნება“ შეურაცხმყოფელ განცხადებებსაც აკეთებს. „ოცნების“ წევრები, მაგალითად, აცხადებენ, რომ ევროპის სახალხო პარტიის ლიდერები ფულზე არიან გაყიდული. საუბარია მერკელსა და სხვა ცნობილ ლიდერებზე. ჯერ ერთი, ამის თქმა არ შეიძლება. მეორეც, თუ მიგაჩნია, რომ ფული მნიშვნელოვანია, მაშინ დახარჯე ლობისტებში, ვიზიტებში, გამართე შეხვედრები.

არ დაწყებულა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, პირიქით, ნგრევაა. სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლით, ტირანიის შემოღებით, კლანური მმართველობით აკეთებენ იმას, რაც რუსეთს უნდა. ვინც ამას ხელს უწყობს, ყველას რუსეთზე არ ამოსდის მზე და მთვარე. ისინი თავიანთი არასწორი მოქმედებებითა თუ უმოქმედობით რუსეთის ინტერესების გამტარებლები გამოდიან.

# უგულავა ივანიშვილს: „უფსკრული თვალებში გვიყურებს“

## თბილისის ყოფილმა მერმა ნაციონალები პირველი საუკუნის ქრისტიანებს შეადარა



რუსთავი 2-თან დაკავშირებით თბილისის ყოფილმა მერმა, პატიმრობაში მყოფმა გიგი უგულავამ მიმართვა გაავრცელა.

– არ ვაპირებ სასამართლოს უსამართლობაზე საუბარს. ეს მოცემულობაა. მოცემულობაა ოლიგარქ ივანიშვილის მიერ ქვეყნის პრივატიზაციის შემდეგ, მედიის სრული უზურპაცია. მედიისა და სიტყვის თავისუფლების გარეშე ჩვენ დავკარგავთ თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის შესაძლებლობას. თავისუფლება ადამიანის ბუნებაა. ამიტომ საბოლოოდ თითოეულ მოქალაქესა და მის აქტიურობაზე დადის – შევდგებით თუ არა თავისუფლების მოყვარულ ერად, – აცხადებს გიგი უგულავა.

მისი აზრით, ასეთ ვითარებაში უდიდესი როლი აკისრიათ პოლიტიკურ პარტიებს და განსაკუთრებით – ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, როგორც მთავარ პოლიტიკურ ძალას.

– მე ვარ ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და მინდა მოგმართოთ ჩვენს მომხრეებს: თქვენ გარბევენ, შეურაცხყოფას გაყენებენ, გდევნიან, როგორც პირველი საუკუნის ქრისტიანებს. თქვენ გაბრაზებული და აღშფოთებული ხართ,



მაგრამ არ მინდა, მათ დავემსგავსოთ, ვინც გვარბევს. ბოღმამ და შურისძიებამ არ უნდა დაისადგუროს ჩვენს გულში. მხოლოდ ასე შევძლებთ, მთელ საზოგადოებას ვაჩვენოთ მაგალითი, რომ წინ უნდა ვიყუროთ და ქვეყანა კრიზისს ავაცილოთ. სწორედ ლიდერს აქვს ეს პასუხისმგებლობა და თქვენ დღეს ხართ ლიდერი და უნდა იყოთ სიმშვიდის მაგალითი, – ნათქვამია გიგი უგულავას განცხადებაში.

თბილისის ყოფილი მერი ასე მიმართავს ბიძინა ივანიშვილს:

– ჩვენ უკვე საკმარისზე მეტად ვატკინეთ ერთმანეთს. ახლა თქვენ ჩვენთან ბრძოლით მხოლოდ ქვეყანას აზიანებთ. ჩვენ ვდგავართ უფსკრულის წინაშე და ეს უფსკრული დღეს ჩვენ გვიყურებს თვალებში.

# თორნიკე შარაშენიძე: „შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ადამიანების დაშანტაჟება ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლებას ცუდად აქვს საქმე.**

– ფარული კადრების ჩვენება და ამით მანიპულირება ძალიან ცუდი ნიშანია ხელისუფლებისთვის, – ამბობს პოლიტოლოგი.

***– ეს რისი ნიშანი შეიძლება იყოს?***

– იმის, რომ აშკარად ცუდი რამ ხდება მთავრობის შიგნით და, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი ვერ ნახეს.

***– როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

– ისე მიდის პროცესები, რომ შეიძლება, სურათი მკვეთრად შეიცვალოს. რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, როგორც ჩანს, ასე მარტივად არ დასრულდება. პროცესების ესკალაცია ძალიან ცუდი იქნება. ხელისუფლება თუ გააგრძელებს შეცდომების დაშვებას, არაფერი არ არის გამორიცხული.

***– მაგალითად?***

– რომ ჩვენ მივიღოთ ვადამდელი არჩევნები.

***– ვადამდელი არჩევნების მომხრე მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა, სხვა არც ერთი პარტია ვადამდელ არჩევნებს არ განიხილავს.***

– ეს დამოკიდებული იქნება მოვლენების განვითარებაზე. შეიძლება, დაძაბულობის ისეთი ესკალაცია მოხდეს, რომ პარტიებმა თავად მოითხოვონ ვადამდელი არჩევნები. შესაძლოა, ამ შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები თავად ხელისუფლებამ დანიშნოს.



***– ყველაზე ცუდი სცენარი ვადამდელი არჩევნები შეიძლება იყოს?***

– იმედია, ეს პერიოდი ძალადობის გარეშე ჩაივლის. მთავარია, ძალადობას არ ჰქონდეს ადგილი და საზოგადოებას შორის დაპირისპირებამ მკვეთრი სახე არ მიიღოს. ეს ცუდი იქნება არა პოლიტიკური ძალებისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის, თავად საზოგადოებისთვის.

***– ალბათ, მთელი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში ხელისუფლებაზეა. აცნობიერებს ხელისუფლება ამ საშიშროებას?***

– ბოლო ნაბიჯების ფონზე ძალიან მეშინია, რომ რაღაცებს მართლაც ვერ ხვდება. ადამიანი როდესაც გარკვეულ ძალაუფლებას მოიპოვებს, მერე უკვე ბევრ რამეს ვეღარ ხვდება, კარგავს რეალობის შეგრძნებას.

***– წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებას ვიღაცები ამართლებენ. ამაზე რას იტყვით?***

– ნაციონალური მოძრაობისთვის თავის წამოყოფის საშუალება რომ არ მიეცათ, ამიტომ გამოაქვეყნეს ეს კადრები. აშკარაა, რომ ხელისუფლებამ შეუწყო ხელი წამების კადრების ჩვენებას.

***– თუმცა პრემიერ-მინისტრი უარყოფს ამას.***

– რატომ არ შეუშალა ხელი პოლიციამ წამების კადრების ჩვენებას ზუგდიდში, სხვაგანაც, სადაც აჩვენეს?! ქუჩებში ხდებოდა ჩვენება, სადაც არასრულწლოვნები, სრულწლოვნები პირდაპირ უყურებდნენ ამ საშინელებას.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ გამოძიება დაიწყო.***

– არ მჯერა, რომ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად გავრცელდა ეს კადრები. კადრების ატვირთვა საეჭვოდ დაემთხვა ენდიაის კვლევების გამოქვეყნებას. შემდეგ უკვე ღიად ქუჩებში ამ კადრების ჩვენებას არ მოჰყვა არანაირი რეაგირება პოლიციის მხრიდან.

***– ამ კადრებით ნაციონალური მოძრაობის წარსულის შეხსენება მოხდა ხალხისთვის?***

– ეს ყველაფერი ძალიან მოკლევადიან ეფექტზეა გათვლილი. ხალხმა ისედაც გაიგო, რომ წინა ხელისუფლების პირობებში წამებას ადგილი ჰქონდა ციხეებში და ამიტომაც დამარცხდა არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა. ამდენად, კადრების ხელახლა გამოქვეყნება რეალურად არაფერს მოუტანს ხელისუფლებას.

***– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ მისი რეიტინგი გაიზარდა, რომ ისინი მზარდი პოლიტიკური ძალაა.***

– ნაციონალურ მოძრაობას აქვს თავისი რეიტინგი, რაც იყო, ის აქვს. არ მომატებულა. 2013-2014 წლებში იგივე რეიტინგი ჰქონდათ და ახლაც იგივე აქვთ. რაც შეეხება მმართველი გუნდის რეიტინგს, ის რომ დაცემულია, ამას დიდი ანალიზი არ სჭირდება. ამას ქუჩაში გამვლელი ნებისმიერი ადამიანი გეტყვით.

***– ამ კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ადამიანების დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია და არცერთ პოლიტიკურ ძალას არ ენდობა. ამომრჩევლის სახლში დარჩენა შეიძლება, ხელისუფლებას პრობლემად ექცეს?***

– ცხადია, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ხელისუფლებისთვის ამომრჩევლის სახლში დარჩენა უდავოდ იქნება პრობლემა, არამედ ის, რომ იმედგაცრუება, ნიჰილისტური განწყობა საზოგადოებაში ყველაზე ცუდია.

შეიძლება, პოლიტიკოსების მიმართ იმედგაცრუება გადაიზარდოს სახელმწიფოზეც, ადამიანებს, შეიძლება, სახელმწიფოსიც აღარ სჯერათ.

ეს ძალიან ცუდის ნიშანია და ამ მხრივ სერიოზული დაფიქრება მართებს ხელისუფლებას.

ჯერჯერობით არ ჩანს პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ადამიანებს იმედგაცრუებას გაუქარწყლებს და შემოაბრუნებს.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით სერგეენკო: „ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ეკონომიური შეფუთვის მქონე ჯენერიკ მედიკამენტებია“

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ საზოგადოებას სამინისტროს 3-წლიანი მუშაობის ანგარიში წარუდგინა.**

ჯანდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა ჩ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას, როგორც ერთ-ერთ მთავარ წარმატებულ პროექტს, რომელიც ქვეყნის ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა.

– მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე მკურნალობას 3.100 პაციენტი გადის, – აღნიშნა მინისტრმა.

ანგარიშში მინისტრმა ასევე წარმოადგინა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგები. სერგეენკო ჯანდაცვის სისტემის სამომავლო პერსპექტივებსაც შეეხო და რეფორმის განხორციელების კონკრეტული მიმართულებებიც წარმოადგინა, როგორიცაა: პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩამოყალიბება, საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯთეფექტურობის მოდელის დანერგვა, მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემის ამოქმედება და ელექტრონული რეცეპტული სისტემის ფართოდ დანერგვის საკითხები.

– მთავარი პრობლემა ის არის, რომ მაღალი რჩება მედიკამენტების წილი მთლიანი ჯანდაცვის დანახარჯებში და ჩვენ ეს უნდა შევამციროთ ლეგალური და გამჭვირვალე გზებითა და საშუალებებით და არა მექანიკური



შეზღუდვებით, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მინისტრის განცხადებით, მედიკამენტების ფასების დარეგულირების მიმართულებით სამინისტროს სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარ კომპონენტი სწორედ მედიკამენტების ხარისხის კონტროლს ემყარება.

ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების ხარისხის კონტროლის კუთხით ახალი სტანდარტის დამკვიდრებას გეგმავს.

რამდენად იმოქმედებს გაძვირებულ მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლი და ახალი რეგულაციები, დავით სერგეენკო განმარტავს:

– ფარმაინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრად რეგულირებული სფეროა. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს დარგი დერეგულირებულია. სწორედ ხარისხის კონტროლის სისტემის არარსებობა გვიქმნის პრობლემას. ჩვენთვის უცნობია, რა ხარისხის მედიკამენტებს იღებენ პაციენტები. ხარისხის სისტემის არარსებობა გვბლოკავს სახელმწიფოს, რომ შევისყიდოთ ჯენერიკები, რადგან ხარისხის ობიექტური დადასტურება არ გაგვაჩნია.

მინისტრი აღნიშნავს, რომ ჯენერიკების შემოსვლა წამლებს მნიშვნელოვნად გააიაფებს.

**დავით სერგეენკო:**

– საზოგადოების დიდი ნაწილი მტკივნეულად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე, რომელიც ქვეყანაში ფასების მატებას ეხება, მათ შორის წამლებზე, რომელიც მძიმე ტვირთად აწვებათ პაციენტებს და დანიშნული მკურნალობის გაგრძელებას ვერ ახერხებენ, საჭიროა ფარმაცევტული ხარჯების რაიმე გზით შემცირება. ამ შემთხვევაში, ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ეკონომიური შეფუთვის მქონე ჯენერიკ მედიკამენტებია.

მინისტრს მიაჩნია, რომ ჯენერიკების სეგმენტის გაფართოება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდოს და მეტი სტიმული ადგილობრივ წარმოებას მიეცეს, თუმცა იმისათვის, რომ ზემოთ აღნიშნული განხორციელდეს, აუცილებელია მედიკამენტის ხარისხის კონტროლის მწყობრი სისტემის ამუშავება, რაზეც ჯანდაცვის სამინისტროში ინტენსიური მუშაობა უკვე დაწყებულია და რეალური შედეგები ცნობილი მალე გახდება.

მედიკოსები სამინისტროს მხრიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად სწორედ მედიკამენტის ხარისხის კონტროლის მწყობრი სისტემის ამუშავებას მიიჩნევენ.

* * *

რა არის ჯენერიკი? მის დადებით მხარეებზე საუბრობს სიმონ ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის, დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი გუგა ქაშიბაძე:

– რა განსხვავებაა ჯენერიკ მედიკამენტსა და ბრენდს შორის? დღეს ფუნქციონირებენ უსერიოზულესი ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ჯენერიკულ მედიკამენტებს.

როგორც სპეციალისტი, განვმარტავ, რომ ჯენერიკი კომპანია ყიდულობს მედიკამენტის მზა ფორმულას და შემდეგ თავად აწარმოებს წამალს. სერიოზული მედიკამენტის გამოგონება და ფორმულის შექმნა მილიარდობით დოლარი ჯდება.

ბუნებრივია, ყველა კომპანიას მილიარდობით დოლარი არ გააჩნია. ცუდს მასში ვერაფერს ვხედავ – ყიდულობენ მზა ფორმულას და შემდგომში თავად აწარმოებენ. უბრალოდ, აქ საუბარია მედიკამენტების ხარისხზე, რაზეც კონტროლი აუცილებლად უნდა გამკაცრდეს. მაგალითად, საზოგადოება ძალიან სკეპტიკურად უყურებს ინდური წარმოების მედიკამენტებს.

მაგრამ ინდოეთში 700 ათასი ფარმაცევტული კომპანია ფუნქციონირებს. მათ შორის მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებს აქვთ გახსნილი ქარხნები ინდოეთში, ამიტომ, თეთრად და შავად ვერ დავყოფ, რა ან რომელია კარგი და პირიქით – ცუდი.

ჯენერიკ მედიკამენტის მიღება საფრთხე ნამდვილად არ არის. როგორც მომხმარებელს, მიმიღია კიდეც ჯენერიკ მედიკამენტი. მთავარია, პაციენტს, როგორც მომხმარებელს და ასევე ექიმს არჩევანის საშუალება ჰქონდეთ, რომ მათ არავინ დააძალოს კონკრეტული პრეპარატის მიღება ან გამოწერა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორ ამირან გამყრელიძის განმარტებით, ჯენერიკი იგივე მედიკამენტია, რაც ბრენდი.

**ამირან გამყრელიძე:**

– მისი შემადგენლობა ბრენდის იდენტურია, უბრალოდ, ჯენერიკის გამოცემის უფლება გაიცემა მას შემდეგ, რაც ბრენდის ნაყიდ პატენტს ვადა გასდის. ეს არის ე.წ. პატენტის დაცვის საერთაშორისო მექანიზმი ანუ ბრენდის ჯენერიკს ვერ აწარმოებს ვერავინ, თუ მას არ გაუვა პატენტი.

ერთადერთი გამონაკლისი გაკეთდა ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც შიდსის მედიკამენტებზე დაუშვეს ჯენერიკები. ამდენად, კარგი ჯენერიკი, რომელიც შესაბამის ლაბორატორიაში ხარისხის კონტროლს გადის, იმავე მოქმედებისაა, როგორიც – ბრენდული პრეპარატი.

მისივე განცხადებით, აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი ხარისხის კონტროლის სამსახურის შექმნა, რათა პრობლემა მოგვარდეს:

– ზოგადად, მსოფლიო პრაქტიკაა, რომ რეცეპტის გამოწერისას იწერება სწორედ ჯენერიკი მედიკამენტები, ამიტომ ამ პროექტზე სამინისტრო მუშაობს და ვფიქრობ, მიმდინარე წლის ბოლოს გარკვეული სტრატეგია დაიდება.

## ლარი ისევ უფასურდება



ლარი ისევ გაუფასურების ტენდენციას აჩვენებს – გასული კვირის გამყარების შემდეგ ეროვნული ვალუტის კურსი დოლარის მიმართ მთელი მიმდინარე კვირაა, ეცემა.

გუშინ, 22 ოქტომბერს, ვარდნამ 0.0073 პუნქტი შეადგინა და შედეგად, 1 დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.3937 ლარი გახდა.

ევროს მიმართ კი ლარი 0.0027 პუნქტით გამყარდა – დღეს 1 ევროს ოფიციალური ღირებულება 2.7075 ლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში ლარი დოლარის მიმართ 2.3980-დან 2.3781-მდე გამყარდა.

**კომერსანტი**

## ანზორ ქოქოლაძე: „ლარის ვარდნა რეფინანსირების სესხებთანაა კავშირში“

– არსებობს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ბანკების მხრიდან მანიპულაციებს აჩვენებს.

აღნიშნული განცხადება „ტექნო ბუმის“ დამფუძნებელმა ანზორ ქოქოლაძემ რადიო „კომერსანტის“ გადაცემა „პოლიტკომერსანტში“ (წამყვანი ნინო ჟიჟილაშვილი) ისაუბრა.

ამასთან, ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ თუ კომერციულ ბანკებს ლარის გაუფასურებას დავაბრალებთ, ეს არასწორი იქნება.

ქოქოლაძის განცხადებით, 2012 წლამდე ეროვნულ ბანკს რეფინანსირების სესხები არათუ გაცემული ჰქონდა, არამედ, პირიქით, კომერციული ბანკებიდან ჰქონდა მიღებული.

მისი თქმით, 2012 წლიდან დღემდე ყოველწლიურად ფულადი მასის გაცემა ხდებოდა, მაგალითად, წელს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხების სახით 700 მილიონზე მეტი გასცა. ეს სესხი როგორც კი გაიცემა, მაშინვე სავალუტო ბაზარზე ხვდება.

– წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვაკვირდებოდი ამას, როგორც კი ეროვნული ბანკი გასცემდა რეფინანსირების სესხს, ამაში ძირითადად „საქართველოს ბანკი“ და „თი ბი სი ბანკი“ მონაწილეობდნენ, მეორე დღესვე ვგრძნობდით სავალუტო ბაზარზე ლარის გამოსვლას. ეს მასა მეორე დღესვე გარე ბაზარზე ხვდებოდა, – აცხადებს ანზორ ქოქოლაძე.

ის თვლის, რომ ამ ორი ბანკის მხრიდან მანიპულაციები აშკარად იგრძნობოდა.

– ერთმნიშვნელოვნად არ ვამტკიცებ იმას, რომ ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების როლი გადამწყვეტი იყო, თუმცა, დროდადრო, როდესაც იყო ტალღები და როდესაც ლარის კურსი 1.90-დან უცებ 2.00-ზე ადიოდა, თუ გადავხედავდით, ეს ყველაფერი რეფინანსირების სესხებთან სინქრონში მოდიოდა, – აღნიშნავს ქოქოლაძე.

მისივე თქმით, თუ დავაკვირდებით იმას, თუ როგორ შემცირდება რეფინანსირების სესხების გაცემა, დავინახავთ, რომ ეს კურსზე გავლენას მოახდენს და ლარს დაასტაბილურებს.

* * *

ლარის გაუფასურებაში აღნიშნული ბანკების შესაძლო მონაწილეობის შესახებ „კომერსანტი“ არაერთხელ წერდა.

რამდენიმე თვის წინ მსგავსი მინიშნება ვიცეპრემიერმა კახა კალაძემაც გააკეთა, როდესაც განაცხადა, რომ კანონმდებლობის გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაციის მიღება სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესების შესახებ შეუძლებელია.

ამ კონტექსტში მან ორი კონკრეტული ბანკი ახსენა.

– რაც შეეხება ქადაგიძის უწყებას, ჩვენ არაერთხელ გავაკეთეთ განცხადება, უბრალოდ დეტალურ ინფორმაციას ვერ ვიღებთ, კანონმდებლობით არ გვაქვს ამის საშუალება. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრმაც ისაუბრა, რომ უჭირს რაიმე დეტალებზე ისაუბროს.

ავიღოთ დიდი ბანკების ტრანზაქციები, არ ვიცით, ბოლო კვირების განმავლობაში რა ტრანზაქციები განხორციელდა „საქართველოს ბანკისა“ თუ „თი-ბი-სი“ ბანკის მიერ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ამ ყველაფრის ბერკეტი ნამდვილად გააჩნია. მას შეუძლია ჩაერიოს ამ კონკრეტულ პროცესში და დაეხმაროს ხელისუფლებას იმ პრობლემის მოგვარებაში, რომელიც დღეს არის საქართველოში, – აცხადებდა კალაძე.



**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

## საქართველოს მოქალაქეები ირანში 30–დღიან ვიზას აეროპორტებში მიიღებენ

ამიერიდან საქართველოს მოქალაქეები ირანში ჩასვლისას აეროპორტებში 30-დღიანი ვიზის მიღებას შეძლებენ.

ამის შესახებ ირანული მედია იტყობინება.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სავიზო რეჟიმის გამარტივების ფარგლებში, უცხო ქვეყნის მოქალაქეები 30-დღიანი ვიზის გახანგრძლივებას დამატებით 15 დღით შეძლებენ.

აქამდე მოქმედი წესით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ 2-კვირიანი ვიზის მიღება შეეძლოთ.

საქართველოსთან ერთად სავიზო რეჟიმის გამარტივებული პროცედურით კიდევ რამდენიმე ათეული ქვეყნის მოქალაქე ისარგებლებს.

მათ შორისაა აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, პოლონეთი, რუსეთი, დასავლეთისა და აზიის რეგიონის ქვეყნები, ასევე პალესტინა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა, ინდოეთი და ბრაზილია.

ახალი წესები არ შეეხებათ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, იორდანიის, ერაყის, ბანგლადეშის, ავღანეთისა და პაკისტანის მოქალაქეებს. მათ ვიზის მიღება კვლავ ირანის დიპლომატიურ უწყებებში მოუწევთ.



ახალი სავიზო რეგულაციები ასევე არ ეხებათ დიპლომატიური პასპორტის მქონე პირებს, ასევე ბიზნესმენებსა და ჟურნალისტებს.

ირანის მთავრობაში აცხადებენ, რომ სურთ, ტურიზმის წილი ქვეყნის ეკონომიკაში არსებული 5-6-დან 10 პროცენტამდე გაზარდონ.

2013 წელს ირანს 5 მილიონამდე ტურისტი ეწვია. მათი უმრავლესობა ინდოეთის, აზერბაიჯანის, კუვეიტის, არაბთა გაერთიანებული საემიროების, ერაყის, ავღანეთისა და პაკისტანის მოქალაქე იყო.

**ბიპიენი**

## რუსთავი 2-მა წელს 29 მილიონი შემოსავალი მიიღო

2015 წელს რუსთავი 2-ის ფინანსურმა შემოსავალმა 29 მილიონი შეადგინა.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანალიტიკური პორტალის თანახმად, 2015 წლის მესამე კვარტალში ტელეკომპანია რუსთავის 2-ის რეკლამიდან მიღებულმა შემოსავლებმა 6.733.861 ლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში კომპანიის საეთერო დროის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 48.306 ლარი იყო,

სპონსორობიდან შემოსავალმა 90.678 ლარი შეადგინა.

გრაფაში – სხვა შემოსავლები რუსთავი 2-ს მითითებული აქვს 4.470 ლარი, ხოლო ტექნიკური მომსახურებისთვის გაწეულმა შემოსავლებმა 87.885 ლარი შედგინა.

ჯამში კი მხოლოდ 2015 წლის განმავლობაში რუსთავი 2-მა შემოსავლის სახით დაახლოებით 29 მილიონი ლარი მიიღო.

ამ მონაცემით მას ყველაზე მაღალი შემოსავალი აქვს მიღებული ქართულ მაუწყებლებს შორის. რუსთავი 2-ის შემდეგ შემოსავლების რაოდენობის მიხედვით პოზიციებს იყოფენ „ტელეიმედი“, „სტუდია მაესტრო“, „საქართველოს მედია ქსელი“ და „ჯიდი-ეს თი-ვი“.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანალიტიკური პორტალის თანახმად, 2013 წელს ტელეკომპანია რუსთავი 2-მა ყველაზე მეტი ფინანსური შემოსავალი სამი პოლიტიკური სუბიექტისგან მიიღო. ესენი არიან: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პოლიტიკური ორგანიზაცია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, „თიბისი ბანკი“ და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

2013 წლის შემდეგ ტელემაუწყებლების ყველაზე მსხვილი დამკვეთების მიერ დეტალური ინფორმაცია აღარ ქვეყნდება, რადგან მაუწყებლებმა კანონის ეს მოთხოვნა სასამართლოში გაასაჩივრეს და მონაცემთა გამოქვეყნება დროებით შეჩერებულია.

**ბიპიენი**

# ნაციონალურ მოძრაობას ბოდიში აქვს მოსახდელი ქართველი ხალხის წინაშე

## როგორი იყო მედიის თავისუფლება ნაციონალების მმართველობის დროს

ორი დღის წინ რუსთავი-2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ საფრთხეში არა მარტო სიტყვის თავისუფლებაა, არამედ ქვეყნის დემოკრატიაც.

სიმართლე გითხრათ, უცხოელი რომ იყო, რომ არ იყო ამ ქვეყნის მოქალაქე და გვარამიას გამტკნარებული სახისთვის შეგეხედა, იფიქრებდი, საქართველოში საშინელება ხდება და ამ კაცს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით აშინებენო. ისე, სანამ კონკრეტულად სიტყვის თავისუფლებაზე გადავალთ, მარტივ კითხვას დავსვამთ – თუ ნიკა გვარამიას პირადი ცხოვრერბის ამსახველი კადრები არსებობს, საინტერესოა, ვინ და როდის გადაიღო ისინი?! სერიოზული ეჭვი გვაქვს, ეს კადრები (თუ არსებობს) სწორედ მაშინ გადაიღეს, როცა ბატონი ნიკა თავად იყო ხელისუფლებაში და საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე და კადრები სწორედ იმიტომ გადაიღეს, თანაგუნდელის წინააღმდეგ კომპრომატად რომ ჰქონოდა წინა ხელისუფლებას.

რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, უახლოეს წარსულს გაგახსენებთ...

Freedom House-ის მიერ, 2007 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ქართული მედიის თავისუფლება შემცირდა. მიმოხილვის თანახმად, საქართველომ მედიის თავისუფლების რეიტინგში 57-ე პუნქტიდან მე-60 პუნქტზე გადაინაცვლა, „რაც ასახავს მედია გარემოს მზარდ პოლარიზაციას, ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედის" ძალადობრივ დახურვას და ყველა სამაუწყებლო მედია საშუალების დახურვას დროებითი საგანგებო მდგომარეობისას" ნოემბრის მოვლენების დროს.

იმავე Freedom House-ის ცნობით, თავისუფლების ხარისხი საქართველოში გაუარესდა და საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტები მკვეთრად არასწორი მიმართულებით განვითარდა.

მოხსენების თანახმად, საქართველოში არსებული „მყიფე მედია გარემო" ასევე მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატიული სტანდარტები დაცული არ არის.

საქართველოს რეგრესი ასევე გამოიწვია ნოემბერში „ძალის გადამეტებულმა გამოყენებამ მომიტინგეების წინააღმდეგ", რასაც მოჰყვა საგანგებო მდგომარეობის შემოღება – პოლიტიკური საქმიანობის, შეკრების უფლებისა და კერძო მედია მაუწყებლობის შეჩერების კომპონენტებით.

2007 წლის ნოემბერში ჩუმად არც ნატოს მაშინდელი გენერალური მდივანი, იააპ დე ჰოოპ სხეფერი იყო.

– საგანგებო ვითარების შემოღება და მედიასაშუალებების დახურვა საქართველოში, რომელიც არის პარტნიორი და რომელთანაც ალიანსს ინტენსიური დიალოგი აქვს, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს და ევრო-ატლანტიკურ ღირებულებებს არ შეესაბამება, – განაცხადა მაშინ ნატოს გენერალურმა 8 ნოემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში.

– დასავლეთმა უნდა აიძულოს საქართველო, შეაჩეროს მზარდი ავტორიტარიზმი, საქართველოს დასავლელმა მეგობრებმა ზეწოლა უნდა მოახდინონ სააკაშვილზე და მის ადმინისტრაციაზე, რათა მისი მზარდი ავტორიტარული კურსი შეიცვალოს. კერძოდ, აშშ-მ ნათლად უნდა განაცხადოს, რომ ის მხარს უჭერს დემოკრატიულ პრინციპებს და არა რომელიმე კონკრეტულ რეჟიმს, საკმარისი არ არის იმის თქმა, რომ თუ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იქნება, საქართველო თავის ძველ კურსს დაუბრუნდება. დაუშვებელია, რომ ყურადღების მიღმა დარჩეს უფრო ღრმა პრობლემები, რომლებიც უკავშირდება კანონის უზენაესობას, კორუფციას, მედიის თავისუფლების ნაკლებობას, ხელისუფლების დანაწილების და დაბალანსების პრინციპს და ეკონომიკურ უთანასწორობას, – ეს განცხადებაკრიზისების საერთაშორისო ჯგუფმა 19 დეკემბერს გააკეთა.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ სააკაშვილი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით ცდილობს, თავისი დემოკრატიული იმიჯი აღიდგინოს მას შემდეგ, რაც „არაპროპორციული პასუხი" გასცა მშვიდობიან საპროტესტო აქციებს, თუმცა იმ რიგგარეშე არჩევნებამდეც მივალთ..

❖ ❖ ❖

ICG-მ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირის და ნატოს წევრ სახელმწიფოებს, მოახდინონ ზეწოლა, მათ შორის დახმარების პირობების კუთხითაც, თუ კვლავ გაგრძელდება უკუსვლა; ასევე გაააქტიურონ სამოქალაქო საზოგადოების, სახალხო დამცველის და მედიის თავისუფლების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა.

2008 წელს, Freedom House-ის ყოველწლიური კვლევის თანახმად, საქართველოში დემოკრატიის მაჩვენებელი 2005 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულზე იყო. მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კვლევაში ნათქვამია, რომ მედია სივრცეში დომინანტურ როლს ასრულებენ ის მედია საშუალებები, რომელთა მფლობელებიც ხელისუფლებას უჭერენ მხარს.

– საქართველო რჩება ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად, მაგრამ ის აღარ არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არჩევით დემოკრატიებად ითვლებიან. საქართველო ჩამოქვეითდა, ნაწილობრივ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის სტილში ავტორიტარული ტენდენციების გამო. საქართველოს დაღმავალი ტენდენცია განპირობებულია (2008 წლის) საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლენილი ხარვეზებით, მათ შორის არის უამრავი ცნობა დაშინების ფაქტების შესახებ და სახელმწიფო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რამაც საგრძნობლად არათანაბარი პირობები შექმნა, რითაც მმართველმა პარტიამ ისარგებლა, – ნათქვამია Freedom House-ის განცხადებაში.

არანაკლებ საინტერესოა Human Rights Watch-ის მოხსენება საქართველოს შესახებ, რომელიც 2009 წლის 15 იანვარს გამოქვეყნდა.

– მიუხედავად საერთაშორისო მოწოდებებისა, საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა, დაეწყო ყოვლისმომცველი გამოძიება 2007 წლის 7 ნოემბერს საპროტესტო აქციის დარბევისას გადაჭარბებული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ გადაჭარბებული ძალის შესაძლო გამოყენების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევის გამოძიება დაიწყო, – ნათქვამია მოხსენებაში...

პარიზში არსებული მედიის უფლებების დამცველი ჯგუფის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე"-ს (Reporters Sans Frontiяres _ RSF) მიერ 20 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ რეიტინგში საქართველოში პრესის თავისუფლების ინდექსი გაუარესდა.

178 ქვეყანას შორის საქართველოს 99-ე ადგილი უკავია 27 ქულით. კვლევა 2009 წლის სექტემბრიდან 2010 წლის სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს.

გასული წლის ანალოგიურ კვლევაში საქართველოს 81-ე ადგილი ეკავა 18.83 ქულით. ინდექსის თანახმად – რაც მეტია ქულა, მით უარესია ქვეყანაში მედიის მდგომარეობა.

– სატელევიზიო გარემო ძალიან პოლარიზებული და მიკერძოებულია, – ნათქვამია დოკუმენტში და ალბათ ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, თუ რომელი ტელევიზიები იყვნენ იმ დროს „მიკერძოებული".

ანგარიში ასევე აღნიშნავს მაუწყებელთა მფლობელობასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის ნაკლებობის პრობლემებს.

ანგარიშის თანახმად, ტელეკომპანიებისთვის ქვეყნის მასშტაბით სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მიცემას მხოლოდ შეზღუდული გავლენა ჰქონდა, ვინაიდან სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მაღალი ღირებულება პრობლემას წარმოადგენდა ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანიებისთვის, რომელთა ძირითადი შემოსავლის წყარო რეკლამაა.

❖ ❖ ❖

უკვე 2012 წელს, როცა იმჟამინდელი ხელისუფლების რეიტინგი თუ სკამები მკაფიოდ იყო შერყეული, Amnesty International-ი მმართველ გუნდს გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფისკენ მოუწოდებდა.

– საქართველოს ხელისუფლება ვერ იცავს ოპოზიციის მხარდამჭერებს და ჟურნალისტებს ძალადობისგან, რასაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური საფუძველი უდევს. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს გამოხატვის და შეკრების თავისუფლება ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა ან კუთვნილებისა და ზედმიწევნითი, მიუკერძოებელი და ეფექტური, გამოძიების ჩატარების შემდეგ სამართალში მისცეს ბოლოდროინდელ თავდასხმებზე პასუხისმგებელი პირები. ინციდენტების დროს დაზარალებულთა შორის სულ ცოტა ათი ჟურნალისტი იყო. ორგანიზაცია მოუწოდებს ხელისუფლებას უზრუნველყოს, რომ ჟურნალისტებს შეუფერხებლად და ძალადობის შიშის გარეშე მუშაობის საშუალება ჰქონდეთ მიუხედავად იმ მედია საშუალების პოლიტიკური ინტერესისა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

2010 წლის 21 იანვარს Human Rights Watch-ის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ქვეყნის მასშტაბით ტელემაუწყებლობა შემოიფარგლება სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საზოგადოებრივი მაუწყებლით და ხელისუფლების მხარდამჭერი ტელეარხებით, „რუსთავი-2"-ითა და „იმედით".

ყურადღება მიაქციეთ განცხადების ერთ კონკრეტულ ფრაზას – „სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი."

მოხსენების თანახმად, მედიის საკუთრების შესახებ გამჭირვალობის ნაკლებობა კვლავ პრობლემად რჩება. მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომიდან წელიწადზე მეტი გავიდა, თუმცა „მხარეთა მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევათა დაუსჯელობა" კვლავ გრძელდება.

მოხსენების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გააღრმავეს საქართველოსთან ურთიერთობები და ქვეყნის ფინანსური მხარდაჭერა, მათ „ბოლომდე ვერ გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ბერკეტები, რათა უზრუნველეყოთ საგრძნობი გაუმჯობესება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში".

❖ ❖ ❖

2009 წელს ქართული მედიის შესახებ ჩატარებული კვლევა ძალიან საინტერესოა. კვლევა მედია მკვლევარებთან, ჟურნალისტებთან, მენეჯერებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შედგა და მასში ნათქვამია, რომ მედია-პროფესიონალები ქართულ სატელევიზიო სივრცეს უფრო პოლარიზებულად მიიჩნევენ, ვიდრე გამოკითხული რესპონდენტები.

მაშინ როცა გამოკითხულთა 51%-მა განაცხადა, რომ, მათი აზრით, „რუსთავი 2" ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება, ამგვარ შეხედულებას მედიის წარმომადგენელთა 94% ემხრობა.

მედია ექსპერტებს, კვლევის მიხედვით, მიაჩნდათ, რომ საზოგადოება იმაზე მეტად არ ენდობა ტელევიზიებს, ვიდრე ეს გამოკითხვამ აჩვენა.

მაგალითად, გამოკითხულთა 59% აცხადებს, რომ ისინი გარკვეულწილად მაინც ენდობიან „რუსთავი 2"-ის ინფორმაციას, მაშინ როდესაც მედია-პროფესიონალებს მიაჩნიათ, რომ ეს მაჩვენებელი 28%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

კვლევის თანახმად, რესპონდენტთა დაახლოებით 47% ნაწილობრივ ან სრულად ენდობა ქართულ მედიას – ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში 43%-ს, ხოლო სომხეთში – 39%-ს შეადგენს.

❖ ❖ ❖

არ გეგონოთ, რომ ხელისუფლებას მხოლოდ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ.

მაგალითად, 2007 წლის 29 ნოემბერს ევროპარლამენტი მიღებულ რეზოლუციაში მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, პატივი სცეს გამოხატვის თავისუფლების პრინციპს, შეკრების თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების ჩათვლით.

იმავდროულად, ევროკავშირმა პოლონეთის ადამიანის უფლებათა ყოფილი დამცველი ადამ მიხნიკი საქართველოში გამოაგზავნა ტელეკომპანია „იმედის" საკითხის მოგვარებაში დასახმარებლად.

ისე, ისიც სათქმელია, რომ 2005 წელს, ჟურნალისტთა ჯგუფმა, უფრო ზუსტად კი, 70-მა ჟურნალისტმა ხელი მოაწერა მიმართვას, რომელიც გამოხატავს შეშფოთებას ხელისუფლების მიერ მედიაზე ზეწოლის გამო.

მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მედიაზე თავდასხმები „ვარდების რევოლუციის" დასრულების პირველივე დღეებიდანვე დაიწყო. ტელეკომპანია „მზის" გადაწყვეტილებამ, დახუროს ყოველდღიური პოლიტიკური თოქშოუ „არჩევანის ზღვარზე" მწვავე დებატები გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან მედიის სარედაქციო პოლიტიკაზე ზეწოლასთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მმართველი პარტიის დეპუტატის გიგა ბოკერიას განცხადება, რომელმაც ტელეკომპანია „მზე" რუსთაველის მოედანზე 30 ივნისს მომხდარი არეულობის გაშუქების გამო გააკრიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარყვეს რაიმე კავშირი ტელეკომპანიის გადაწყვეტილებასთან, ოპონენტებმა ტელეკომპანია „მზე"-სთან დაკავშირებული მოვლენები ხელისუფლების ტელეკომპანიაზე ზეწოლად შეაფასეს.

– მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, თავი შეიკავოს თავისუფალი მედიის საქმიანობაში ჩარევისგან და იმ უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებისგან, რომელთაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები ჩვენი მისამართით აკეთებენ, – ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ რეგიონების ჟურნალისტები ხშირად ხდებიან ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლის მსხვერპლნი. სიტუაცია ამ კუთხით ძალიან რთულია, განსაკუთრებით შიდა ქართლში, კახეთში, იმერეთსა და აჭარაში.

❖ ❖ ❖

ქართული საინფორმაციო სივრციდან გაუჩინარდა რამდენიმე გაზეთი და ტელეკომპანია (ტელეკომპანია „იბერია", გაზეთი „ახალი ეპოქა", „დილის გაზეთი", „მთავარი გაზეთი", ჟურნალი „ომეგა", საინფორმაციო სააგენტო „ინტერ-პრესი"), დაიხურა წამყვანი ანალიტიკური გადაცემები („ღამის კურიერი", „ღამის მზერა", „60 წუთი", „რა ხდება", „ტაიმაუტი", „ცაიტნოტი"), დღემდე ეთერიდან იხსნება ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენლისთვის მიუღებელი სიუჟეტები.

ბრიფინგებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე არ ასწრებენ, მათი თქმით, დაბალრეიტინგულ ტელეკომპანიებს, იგნორირებას უწევენ გაზეთების, რადიოებისა თუ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს, რომლებიც მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხვდებიან ქვეყნის პირველი პირების პრესკონფერენციებზე.

სერიოზული პრობლემები აქვთ რეგიონებში მოქმედ მედია-საშუალებებსაც, რომელთა ჟურნალისტებიც ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხრიდან ზეწოლის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან.

ამ მხრივ, მძიმე ვითარებაა შექმნილი შიდა ქართლში, კახეთში, იმერეთსა და აჭარაში.

ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტის სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა აიკრძალა. ოფიციალური ვერსიით, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებს უფრთხილდება, ჩინოვნიკები ხომ თურმე, გაზეთებს არ კითხულობენ. გასულ კვირას კი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მედიის წინააღმდეგ გალაშქრებამ საშიშ ზღვარს მიაღწია.

მათი განრისხების მიზეზი გახდა რუსთაველის გამზირზე 30 ივნისს განვითარებული მოვლენები, რომელსაც ყველა ტელეკომპანია პირდაპირ ეთერში გადასცემდა. იმ ღამეს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებმა ჩვენს კოლეგებს – ირაკლი გედენიძეს, ზვიად ნიკოლაიშვილსა და ნატო მახვილაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ფოტოაპარატის წართმევით დაემუქრნენ ფოტოჟურნალისტ გია აბდალაძეს. ხოლო მოგვიანებით, სატელევიზიო ეთერებიდან ჟურნალისტებმა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა უსაფუძვლო კრიტიკა და საყვედური დავიმსახურეთ.

ისინი მრავალათასიანი მაყურებლის წინაშე თითის დაქნევასა და მუქარასაც არ მორიდებიან. ჩვენ, საქართველოში მოქმედი ჟურნალისტები, ღიად ვაცხადებთ, რომ ხელისუფლება ცდილობს, ჩაერიოს და გააკონტროლოს ჩვენი საქმიანობა. აგვიკრძალოს მისთვის არასასურველი ინფორმაციის სატელევიზიო ეთერსა თუ საგაზეთო ფურცლებზე მოხვედრა, პრობლემები შეგვიქმნას ინფორმაციის მოპოვებასა და შემდგომ მის გავრცელებაში. განახორციელოს სადამსჯელო ღონისძიებები იმ მედია-საშუალებათა წინააღმდეგ, რომელთა ინფორმაციები, ანალიტიკური გადაცემები თუ თოქ-შოუებიც არ მოეწონება.

ამის თვალნათელი დადასტურებაა ბოლო დღეებში ტელეკომპანია „მზის" გარშემო განვითარებული მოვლენები და გავრცელებული ინფორმაცია მისი დახურვის შესახებ.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, თავი შეიკავოს დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში ჩარევისა და იმ უპასუხისმგებლო განცხადებებისგან, რომელთაც მმართველი პარტიის ხელმძღვანელები ჩვენი მისამართით აკეთებენ. მოვუწოდებთ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს, აქტიურად ჩაერთვნენ საქართველოს ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობებში და სისტემატურად აწარმოონ მონიტორინგი ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების კუთხით არსებულ სერიოზულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ეს ყველაფერი ჟურნალისტების მიმართვაში წერია.

❖ ❖ ❖

ეს იყო ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობდით და რატომღაც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს სურთ, რომ ეს ყველაფერი დავივიწყოთ.

არადა, შედარებისთვის გეტყვით, რომ პრესის თავისუფლების ინდექსით საქართველოს ბოლო 15 წლის მანძილზე საუკეთესო შედეგი აქვს და ეს შედეგი 2014 წლის 1 მაისის კვლევის შედეგად გამოჩნდა.

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის მონაცემებით, საქართველოში პრესის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა 2 ქულით გაუმჯობესდა და 47 ქულით, 197 ქვეყანას შორის 93-ე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, თურქეთი და სომხეთი 134-ე ადგილს იკავებენ, რუსეთი 176-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი – 183-ეზე.

პრესის თავისუფლების მხრივ ყველაზე ცუდი შედეგის მქონე ქვეყნებად რჩებიან ბელარუსი, კუბა, გვინეა, ერიტრია, ირანი, სამხრეთ კორეა, თურქმენეთი და უზბეკეთი, რომელთა ქულები 90-დან 100-მდე მერყეობს.

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტი არ გახდება

ბაიდენი პრეზიდენტობაზე კენჭს აღარ იყრის.

ამის შესახებ თავად აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა განაცხადა. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, უბრალოდ, აღარ აქვს სულიერი ძალა, რათა საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაებას.

— მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი გარდაიცვალა, დიდ პოლიტიკაში დარჩენა აღარ მსურს, — თქვა ბაიდენმა.



სავარაუდოდ, დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი ჰილარი კლინტონი იქნება. ბაიდენი იყო ერთადერთი, რომელსაც მისთვის კონკურენციის გაწევა შეეძლო.

# ვიკილიქსმა ცსს-ს დირექტორის პირადი მონაცემები მოიპარა



საიტმა ვიკილიქსმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ ბრენანის პირადი მონაცემები მოიპარა.

მათში ნათქვამია, თუ რა ძლიერი ან სუსტი მხარეები აქვს ბრენანს, ოდესმე იღებდა თუ არა ნარკოტიკებს და ა.შ.

იქვეა მოყვანილი ობამასადმი ბრენანის ანალიტიკური მოხსენება, რომელიც ირანს შეეხება. მასში ნათქვამია, რომ აშშ-მ უარი უნდა თქვას ჯორჯ ბუშ-უმცროსის პოლიტიკაზე ირანის მიმართ.

ბუშმა ირანი „ბოროტების ციტადელად" გამოაცხადა. ბრენანი, როგორც დაზვერვის უფროსი, ურჩევდა ობამას, ამაზე უარი ეთქვა და აქცენტი ირანის ევოლუციურ ცვლილებებზე გაეკეთებინა.

— აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება დანაშაულია! ეს უნდა დაიგმოს და მისი წაქეზება ან ხელის შეწყობა არ შეიძლება, — ნათქვამია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთა განცხადებაში.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

# პუტინმა კრემლში ასადი მიიღო









რუსეთ-აშშ-ს შორის დაიდო შეთანხმება სირიაში ოპერატიული კავშირის არხის შექმნის შესახებ. ამ ინფორმაციამ ბევრს მისცა საფუძველი, რუსეთ-აშშ-ის შესაძლო ალიანსზე ესაუბრა. პუტინის შემდგომმა ნაბიჯმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. რუსეთის პრეზიდენტმა კრემლში მიიღო სირიის დიქტატორი ასადი. ამით ცალსახად დაფიქსირდა რუსეთის პრეზიდენტის მისწრაფება, რათა ასადი ხელისუფლებაში დაეტოვებინა.

— ასადის წინაშე წითელი ხალიჩის გაფენა სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების ფეხქვეშ გათელვა. ჩვენ ამას კატეგორიულად ვგმობთ, — განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა მარტინ შულცმა.

ასადის მხარდაჭერით ცხადი გახდა, რომ მოსკოვმა ახლო აღმოსავლეთში შიიტური ღერძის ქვეყნების მხარდაჭერაზე აიღო კურსი. ამ ქვეყნებს განეკუთვნებიან ასადის სირია, ერაყი, ირანი, ორგანიზაცია ჰესბოლა. მათი დახმარებით რუსეთი ცდილობს ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენის განმტკიცებას.

# კატარს სირიაში ჯარის შეყვანა სურს

კატარს სირიაში ჯარის შეყვანა სურს. ამის თაობაზე კატარის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალ-ატრიამ განაცხადა. მან თქვა, რომ რადგან რუსეთი იარაღის ძალით ასადს მხარს უჭერს, კატარი იძულებულია, ამას წინ აღუდგეს.

— რასაკვირველია, პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარება გვერჩია, მაგრამ ძალისმიერი ვარიანტებისთვისაც მზად ვართ, — ამბობს ალ-ატრია.

ამ განცხადებამ ოფიციალური დამასკოს რისხვა გამოიწვია. სირიის დიქტატორმა ასადმა აღნიშნა, რომ თუკი კატარი სირიაში ჯარს მართლა შეიყვანს, ეს აღიქმება, როგორც აგრესია, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.



ჯერ კიდევ არაბული გაზაფხულის დაწყებიდან კატარი მხარს უჭერდა სირიის თავისუფალ არმიას. ესაა ზომიერი დაჯგუფება, რომელიც ასადის წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებს.

# ასტრახანში ირანის სამხედრო გემები შევიდნენ



ასტრახანში ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სამი გემი შევიდა. რუს ექსპერტ დუბნოვის აზრით, ეს კასპიის ზღვის გაყოფის პრობლემებთან არის დაკავშირებული.

— როგორც ცნობილია, კასპიის ზღვის ნაწილის გაყოფა ვერ მოხერხდა, — ამბობს დუბნოვი.

ექსპერტის აზრით, ასტრახანში ირანული გემების შესვლა სხვა არაფერია, თუ არა ირანის პრეტენზია კასპიის ზღვის ნაწილზე.

# ქერი ევროპაში ჩადის

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ევროპაში ჩადის. ბერლინში დაგეგმილია შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან, ისრაელის პრემიერ ნეტანიაჰუსთან, საუდის არაბეთის ხელმძღვანელებთან.

ლავროვთან შეხვედრის მთავარი თემა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებაა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ტაილანდში სპილოები მოტოციკლეტისტს თავს დაესხნენ

ტაილანდის ეროვნულ პარკში მოტოციკლეტისტი იძულებული გახდა, თავისი სატრანსპორტო საშუალება მიეტოვებინა და თავი ჯუნგლებისთვის შეეფარებინა, რათა გააფთრებულ სპილოებს გარიდებოდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ფეისბუქში ნაკრძალის ვებგვერდზეა განთავსებული.

აღნიშნული ჩანაწერი ავტომობილის ვიდეორეგისტრატორის მიერ ეროვნულ პარკ კხაუიაშია გადაღებული, რომელიც ნაკხონრატჩასიმას პროვინციაში მდებარეობს. ვიდეორგოლზე ჩანს, რომ მოტოციკლეტისტმა სვლა შეანელა და შეეცადა, გზა სპილოების ჯოგში გაეკვლია. იმით გაღიზიანებულმა სპილოებმა, რომ მცირე ხნით ადრე მათ გვერდით ბაიკერების მთელმა ჯგუფმა ჩაუარა, მოტოციკლეტისტის მიმართ აგრესიულობა გამოავლინეს.



მამაკაცმა როდესაც შენიშნა, რომ რამდენიმე ახალგაზრდა სპილო მისკენ გამოემართა, მოტოციკლეტი მიაგდო და ჯუნგლებში გაიქცა. მას იქ მოუწია მოცდა, სანამ სპილოები დამშვიდდებოდნენ და გზას განაგრძობდნენ. ამ ინციდენტის შედეგად პარკის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, ნაკრძალის ტერიტორიაზე მოტოციკლეტებით გადაადგილება აკრძალონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც — რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## მკურნალობა

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა" — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა" — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+" — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7" — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი", კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

## ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# ფერნანდო იერო: „არ გაგიკვირდეთ, თუ თბილისში ოჯახთან ერთად მოსეირნეს მნახავთ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

*– ქართული ფეხბურთის შესახებ რა იცით? როგორც შეიძლება საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყანაში ფეხბურთი განვითარდეს?*

– ქართული ფეხბურთი მცოდნე ადამიანების ხელშია. ამ შემთხვევაში სპორტის მინისტრს, კობიაშვილს, კალაძეს, ჩემს მეგობარ კახას ვგულისხმობ. მათ ეს სპორტი უყვართ და საქმეში ბოლომდე ჩართული არიან.

ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ სწორი სტრატეგია და გეგმა უნდა შეირჩეს, რომელსაც პროფესიონალები განახორციელებენ, რაც წარმატების გარანტია იქნება.

რაც მთავარია, ქართულ ფეხბურთს ჰყავდა და ჰყავს ძლიერი მოთამაშეები. ნიჭი ძალიან მნიშვნელოვანია და ის უნდა გამოვლინდეს. ფეხბურთის მიმართ ინტერესი მთელ მსოფლიოში დიდია და თქვენს ქვეყანაშიც ასეა.

*– რეალიდან რა მიზეზით წახვედით? ბენიტესთან მუშაობა არ ისურვეთ?*

– ჩავთვალე, რომ ერთი წელი საკმარისი იყო. ბენიტესთან კონფლიქტი არ მქონია. ჯერ მწვრთნელობას არ ვაპირებ. დადგა განმუხტვის მომენტი, რომ ოჯახს მეტი დრო დავუთმო. ამჟამად, ფიქრის პროცესში ვარ და დეკემბრისთვის გადავწყვეტ, სად ვიმუშავებ.

*– ფეხბურთელებისთვის ნიჭი უფრო მნიშვნელოვანია თუ დისციპლინა?*

– წარმატების მზა რეცეპტი არ არსებობს. ნიჭი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც უდი-




დესი შრომაა საჭირო. ისე არ ხდება, რომ დილით გავიღვიძოთ და ერთბაშად ყველაფერი შესრულდეს. ნიჭი შრომამ და თავდადებამ უნდა დააბალანსოს.

*– ეს თქვენი ერთადერთი ვიზიტია თუ მომავალში თანამშრომლობას გეგმავთ?*

– ეს სრულიად მეგობრული ვიზიტია და ცხადია, ჩამოსვლა მომავალშიც მსურს, რადგან უაღრესად დადებითი ენერგიით დავიმუხტე. ამიტომ, შესაძლოა არდადეგებზე ოჯახით თბილისში მოსეირნეც მნახოთ.

*– ვის მიიჩნევთ უდიდეს მწვრთნელად და ფეხბურთელად, რომელთან ერთად გიმუშავიათ და გითამაშიათ?*

– ასეთ მწვრთნელად ვისენტე დელ ბოსკე მიმაჩნია, ხოლო ფეხბურთელად – რაული.

*– ამჟამად, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი ვინ არის?*

– კრიშტიანუ რონალდუ.

# გია ჭიაბრიშვილი: „მიდტიულანდთან მარცხი ჩემი ბრალია“

**საბურთალო – მიდტიულანდი 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**0:1 ნისენი (39), 0:2 ანდერსონი (53), 1:2 ხარაიშვილი (62)**

**საბურთალო:** ქურდაძე, მამუჩაშვილი, მარგველაშვილი, ჩაბრაძე, ნადარაია (ლაკვეხელიანი 73), ალთუნაშვილი, გვარაძე, ხარაიშვილი, ბიძინაშვილი (კოხრეიძე 81), ნიკოლაშვილი (ჩოგაძე 60), გოშთელიანი

**მიდტიულანდი:** ოტესენი, ნილოლაიენი, ლაურიტსენი, მანკსგაარდი, ნისენი, გემერი, ანდერსონი (პოულსენი 60), რუტიკანგა, ტიჩოსენი, კირკი (ოლსენი 83), ტომსენი (სტერინგი 68)

უეფას ჭაბუკთა ლიგაზე ქართული კლუბის დებიუტი მარცხით დასრულდა: თბილისის საბურთალო დანიის მიდტიულანდთან შინ 1:2 დამარცხდა, ორი მატჩის ჯამში 2:5 წააგო და გათამაშებას გამოეთიშა.

თბილისელებს ორბურთიანი სხვაობის გაბათილება სჭირდებოდათ. მათ თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და პირველ ტაიმში სოლიდურ უპირატესობასაც ფლობდნენ, არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ...

39-ე წუთზე დანიელები რასმუს ნისენის ზუსტი თავური დარტყმით დაწინაურდნენ. დანიელმა მადს თიხოსენის საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ გახსნა ანგარიში – 0:1.

53-ე წუთზე სკანდინაველმა ფეხბურთელებმა მეორე გოლი გაიტანეს: ნიკოლას კირკმა საბურთალოს შეტევა თავისსავე ნახევარზე ჩაჭრა, ბურთიანად დაახლოებით 60 მეტრი ირბინა, შემდეგ მარჯვენა ფლანგზე შეტევაში ჩართულ მიქაელ ანდერსონს გადააწოდა ბურთი, რომელმაც მეორედ გაუტანა ბექა ქურდაძეს – 0:2.

62-ე წუთზე საბურთალომ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო: არჩილ ბიძინაშვილი-გიორგი ხარაიშვილი-თემურ ჭოლაძის სამსვლიანი კომბინაცია ხარაიშვილმა დააგვირგვინა ზუსტი დარტყმით – 1:2.

მიდტიულანდი შემდეგ წრეში გავიდა.



**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

– ყველაფერი ჩემი ბრალია, გუნდი იქამდე ვერ მივიყვანე, რომ ნაკლები ტრავმა ყოფილიყო და ფეხბურთელები თამაშისთვის უკეთესად მომზადებულები ყოფილიყვნენ. ამ მოთამაშეებს წინა კვირის ბოლოს უმაღლეს ლიგაში გამოსვლა მოუწიათ. ასე სწრაფად ერთი ტურნირიდან მეორეში გადასვლა რთულია. ბოდიშს ვიხდი, რომ დღეს თქვენი მოლოდინი ვერ გავამართლე.

**კენეტ ანდერსონი:**

– რთული მატჩი იყო. პირველ ტაიმში მომენტები არ გვქონია და ბურთს ძირითადად საბურთალო ფლობდა. მათ პირველ ტაიმში არაერთი გოლის გატანა შეეძლოთ. მეორე ტაიმში ჩვენ გაგვიმართლა და გოლებიც გავიტანეთ. მთავარი ამ მატჩში გოლის გატანა იყო და მიხარია, რომ ეს მოვახერხეთ. მომეწონა, რომ საბურთალოს თავისი გულშემატკივარი ბოლომდე გვერდში დაუდგა.

# ლევან კობიაშვილი: „ყველა დამრღვევი დაისჯება“




გუშინ სფფ-ს პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი იმერეთის რეგიონულ ფედერაციაში გამართულ შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაზე განიხილებოდა 21 ოქტომბერს ვანის სტადიონზე მომხდარი ინციდენტი, სადაც მეორე ლიგის გუნდები, ვანის სულორი და ჩოხატაურის ბახმარო თამაშობდნენ.

მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ სულორის გულშემატკივრები შეიჭრნენ სტადიონზე, რის შემდეგაც მსაჯს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ასევე კლუბის წარმომადგენლები შეიჭრნენ მსაჯის ოთახსა და გასახდელში.

იმერეთის რეგიონულ ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე ეს ინციდენტი განიხილეს.

**ლევან კობიაშვილი:**

– ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო დავსწრებოდი ამ ინციდენტის განხილვას, რადგან მსგავსი შემთხვევები ხელს უშლის და აზიანებს ქართულ ფეხბურთს და უნდა აღმოიფხვრას.

სამწუხაროდ, გულშემატკივრების მხრიდან ადგილი ჰქონდა დაუშვებელ ქმედებებს. ამიტომ მე მოვუწოდებ იმერეთის რეგიონულ ფედერაციას და სამართალდამცავებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნეს გამოძიებული ფაქტები და მიღებულ იქნეს მაქსიმალური ზომები.

სამაგალითოდ დაისჯება ყველა ის ადამიანი, რომლებიც მსგავსი ქმედებით აზიანებენ ქართულ ფეხბურთს. ეს დაუშვებელია.

# უეფამ ბარსა დასაჯა. სანქციები კიევის დინამოსაც ელის

უეფას სადისციპლინო კომიტეტი კიევის დინამოსა და ლონდონის ჩელსის მატჩის (0:0) დროს მომხდარ ინციდენტს იძიებს.

ბრიტანული მედიის ცნობით, ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის შეხვედრისას კიევის ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნებზე ლონდონელთა ფერადკანიან ქომაგებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ამსახველი მასალა სტადიონებზე რასიზმის გამოვლინებების წინააღმდეგ მებრძოლმა ევროპულმა ორგანიზაციამ უკვე მიაწოდა უეფას და გამოძიება დაწყებულია.

უკრაინული საინფორმაციო საშუალებები ვარაუდობენ, რომ ყველაზე მსუბუქი სასჯელი რაც შეიძლება დინამოს დაუწესონ, რამდენიმე მატჩის უმაყურებლოდ ჩატარებაა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კიეველები ევროტურნირების მატჩებზე გულშემატკივართა მიერ მოწყობილი არეულობების გამო ბოლო პერიოდში რამდენიმეჯერ დაისაჯნენ, კლუბის ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებიდან მოკვეთასაც არ გამორიცხავენ.

სამაგიეროდ, უეფამ ჯარიმა დააკისრა ბარსელონას. ამის მიზეზი 29 სექტემბერს ბარსელონა-ლევერკუზენის მატჩზე გულშემატკივართა მიერ მიტანილი კატალონიური დროშებია.

აღნიშნული ფაქტი პირველად არ ხდება. ჩემპიონთა ლიგის ფინალზე მიტანილი დროშების გამო კლუბი 30.000 ევროთი დაჯარიმდა. ამჯერად



თანხა 40.000 ევროს შეადგენს.

ბარსელონის ვიცეპრეზიდენტმა ხორდი მესტრემ განაცხადა, რომ, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, კლუბი დათმობას არ აპირებს.

**ხორდი მესტრე:**

– თავდაპირველად დაველაპარაკებით უეფასა და სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში საქმე გაგრძელდება შვეიცარიის სასამართლოში, შესაძლოა, საქმე სტრასბურგამდეც მივიდეს.

ჩვენ დავიწყეთ დიპლომატიური პროცესი, რომელიც არ მუშაობდა და ეს არ მოგვწონს. საუბარი გვქონდა, რომ შედეგები არ არის გათვალისწინებული. ეს არ არის ომი უეფასთან, თუმცა კლუბის ინტერესების დაცვა გვინდა. ჩვენ ჩვენს გულშემატკივარს არ ვზღუდავთ.

# წყალბურთელებმა მსოფლიო ლიგა მარცხით დაიწყეს

**უნგრეთი – საქართველო 17:10**

**(5:2, 5:2, 4:4, 3:2)**

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები მსოფლიო ლიგის გათამაშებაში ჩაება და უნგრეთის ქალაქ შოლნოკში მასპინძელთა ნაკრებთან 10:17 დამარცხდა.

უნგრეთის ნაკრები 9-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, 3-გზის მსოფლიო ჩემპიონი, 12-გზის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო ლიგის 2-გზის გამარჯვებული და მსოფლიოს თასის 3-გზის გამარჯვებულია. ასეთი ტრადიციების გუნდთან ქართველმა წყალბურთელებმა პირველი ტაიმი 4:10 დათმეს, მე-2 ნახევარში კი მეტოქეს არაფერი დაუთმეს და საბოლოოდ, მხოლოდ 7 ბურთის სხვაობით დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებიდან დუბლის შესრულება მიხეილ ბაღათურიამ, მარკო ელეზმა და მარკო ელაჩამ მოახერხეს, ხოლო თითოჯერ თავი ანდრია ბითაძემ, ზურაბ რურუამ, გიორგი ხვედელიანმა და დამირ ცრეპულიამ გამოიჩინეს.

მსოფლიო ლიგის მიმდინარე გათა-



მაშებაში ევროპელთაგან 12 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც სამ ჯგუფში არიან გადანაწილებულნი.

საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში უნგრეთს, რუმინეთსა და საბერძნეთს გაუწევს მეტოქეობას. შეჯიბრება გაიმართება ორ წრედ შინ და გარეთ თამაშის პრინციპით. ბ ჯგუფში ითამაშებენ სერბეთი, ჩერნოგორია, ესპანეთი და საფრანგეთი, ხოლო ც ჯგუფში ხორვატია, იტალია, რუსეთი და თურქეთი.

მეორე ტურის მატჩები 17 ნოემბერსაა დაგეგმილი და ქართველი წყალბურთელები სტუმრად საბერძნეთს დაუპირისპირდებიან, რომელმაც პირველ ტურში რუმინეთს 17:3 აჯობა.

1 დეკემბერს ქართველები რუმინეთს უმასპინძლებენ, საპასუხო მატჩები კი 2016 წელს არის დაგეგმილი.

# ფაჩულიას პირველი ორმაგი დუბლი დალასში

ტეხასური გუნდის ქართველმა ახალწვეულმა მორიგ საგამოფენო მატჩში ფინიქსის წინააღმდეგ 10 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა, თუმცა დალასელები წაგებისგან მაინც ვერ იხსნა. დალასური გუნდი საბოლოოდ 87:99 დამარცხდა.

მავერიკსმა უკვე მე-6 საგამოფენო მატჩი წააგო. ფაჩულიას გუნდი რამდენიმე ლიდერის გარეშე თამაშობს – დირკ ნოვიცკიმ მხოლოდ 1 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ხოლო დერონ უილიამსი, ჩენდლერ პერსონსი, უესლი მეთიუზი და ჯავალი მაკგი ჯერაც არ გამოჩენილან.

ფინიქსთან მატჩში ფაჩულია სათადარიგო იყო და მოედანზე 20 წუთით გამოჩნდა. ზაზამ 5-დან 3 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 10 ქულასთან ერთად ქართველმა ცენტრმა 12 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ფაჩულია იყო მატჩის ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ორმაგი დუბლი მოაგროვა. დალასში 22 ქულა დააგროვა ჯონ ჯენკინსმა, რომელმაც მოედანზე 38 წუთი დაყო.

დალასელები მომდევნო საგამოფენო მატჩს 24 ოქტომბერს შინ ჩიკაგო ბულსთან გამართავენ.

# საქართველოს 15 წლამდე ნაკრები ევროპის ლიგაში ითამაშებს

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები დღეიდან ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში ერთვება. ნოდარ ქორქიასა და ირაკლი მაისურაძის გაწვრთნილი გუნდი აღნიშნული ტურნირის პირველ ეტაპს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩაატარებს, სადაც 5 მატჩს გამართავს. მომავალ გაზაფხულამდე მთლიანობაში 3 ეტაპი გაიმართება და 15 მატჩის ჯამში გაირკვევა, თუ რომელ ადგილს დაიკავებს საქართველოს ნაკრები.

ევროპის ლიგა გახლავთ საკლუბო ტურნირი, რომელშიც ევროპის წამყვან გუნდებს თავისი ბავშვთა სკოლის წარმომადგენლები გამოჰყავთ და კლასს იმაღლებენ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ 2001-წლიანთა ნაკრები შეკრიბა და ევროპის ლიგაში საქართველო 2001-ის სახელით ითამაშებს.

ამ ნაკრებმა გასულ სეზონშიც იასპარეზა ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში, სადაც 32 გუნდში მე-5 ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ქართველებს სერიოზული გამოცდა ელით რიგაში, სადაც სხვა გუნდებთან ერთად მოსკოვის დინამოსა და ცსკა-სთან მოუწევთ ბრძოლა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**ფეხბურთი**

**21 ოქტომბერი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ასტანა | 4:0 |
| ცსკა-მანჩესტერი | 1:1 |
| გალათასარაი-ბენფიკა | 2:1 |
| იუვენტუსი-გლადბახი | 0:0 |
| მალმიო-შახტარი | 1:0 |
| სიტი-სევილია | 2:1 |
| პსჟ-რეალი | 0:0 |
| ვოლფსბურგი-პსვ | 2:0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-დერბი | 0:0 |
| ფულემი-ლიდსი | 1:1 |
| ვულვზი-ბრენტფორდი | 0:2 |

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# გიორგი ახვლედიანი: „რა გაუხდათ მოსამართლე ურთმელიძის შეცვლა?!“

## „რუსთავი 2-ის სასამართლო ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს“

გულიკო ბალაძე

**რუსთავი 2-ის წილებისა და მესაკუთრის გარკვევის პროცესი ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. პრეზიდენტმა პირდაპირ მოუწოდა პრემიერს, მოთოკოს ემოციები. მარგველაშვილი ამ ყველაფერში სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობებს ხედავს.**



ამ დავაში პარტიებისა და არასამთავრობოების ნაწილიც ჩაერთო და რუსთავი 2-ის მხარე დაიჭირა, ნაწილი კი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგში არ ჩაერთვება.

— „დემოკრატიული მოძრაობა“ ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგში მონაწილეობას არ მიიღებს. სამოქალაქო დაპირისპირებას ამ კონტექსტში არ ვვარაუდობ. ეს კიდევ ერთი განმასხვავებელი ფაქტორია 2007 წლის 7 ნოემბრის ტელეიმედსა და დღევანდელ მოვლენებს შორის, — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა პრაიმ-ტაიმში.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა, როგორ აფასებს გიორგი ახვლედიანი პრეზიდენტის მოწოდებას პრემიერისადმი, რომ მან მოთოკოს ემოციები.

— განცხადებები რომ უნდა იყოს მოზომილი, არ უნდა იყოს მკვეთრი, ხისტი მოქმედებები, ძალიან ზოგადი განცხადებებია და მესმის ამ შემთხვევაში პრეზიდენტის განცხადებები. ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკური ძალა ერთმნიშვნელოვნად იმ პოზიციაზეა, რომ არ უნდა იყოს რადიკალური მოქმედებები, — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

***— თვითონ პრეზიდენტი რამდენად იყო კორექტული?***

— პრეზიდენტის დაპირისპირება პრემიერთან ახალი თემა არ არის. ამ ყველაფერს ბავშვური ჭინჭყლობის ფორმატი უფრო აქვს. შესაბამისად, პრეზიდენტი ცდილობს, დააფიქსიროს თავისი განსხვავებული პოზიცია და გააგრძელოს ის კონტექსტი, რომელიც მას „ქართულ ოცნებას“ კიდევ უფრო დააშორებს.

***— პრეზიდენტის განცხადება ნაცმოძრაობის მხარდაჭერად შეიძლება აღვიქვათ?***

— ასე ღიად ასეთი კონტექსტი არ დამინახავს და არც ყოფილა ნამდვილად.

გიორგი ახვლედიანის თქმით, ამ დავაში ჩარევა ხელისუფლებას დააზარალებს.

— მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილი ამტკიცებდა, რომ საერთოდ კავშირში არ არის ამ საქმესთან, ყველამ ძალიან კარგად დავინახეთ, რომ ხელისუფლება ვერ მოქმედებს ისე, რომ თავისი ძალიან ჭუჭყიანი ნაკვალევი არ დატოვოს, თუნდაც იმავე სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, — მიაჩნია ახვლედიანს.

***— ამგვარი პროცესი ქვეყნის იმიჯზე თუ იმოქმედებს?***

— ქვეყნის იმიჯზე აუცილებლად იმოქმედებს. პირველ რიგში ხელისუფლება დაზარალდება. ისინი ვერა და ვერ ელევიან კონკრეტულ მოსამართლეს. სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა პრობლემა მოსამართლის შეცვლა. ეს ძალიან სერიოზულ ეჭვს ტოვებს. ამიტომ საზოგადოებას ეჭვი აქვს, რომ ეს პროცესი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი არ არის.

***— მაშინ, როდესაც „იმედს“ სრულიად უმტკივნეულოდ დაუბრუნეს ტელევიზია, რატომ გახდა ასეთი დიდი აჟიოტაჟის საგანი ქიბარ ხალვაშის წილი? ხალვაშს ხომ აქვს უფლება, თავისი წართმეული წილი დაიბრუნოს სასამართლოს გზით?***

— რა თქმა უნდა. მე არ შევდივარ ამ კონტექსტში, რასაც ჰქვია ვიწრო წილობრივი და კომერციული დავები.

***— იმთავითვე რატომ დგება ქიბარ ხალვაშის მოთხოვნის უარყოფის საკითხი?***

— არაფრის უარყოფის საკითხი არ დგება. არავინ ამ საკითხს ასე არ სვამს. არავინ ამბობს, რომ ქიბარ ხალვაშს არ აქვს უფლება, იდავოს. არავინ საუბრობს იმაზე, რომ იქ მოწილეებს შორის რაღაც საკითხები არ არის განსახილველი. ამაზე სასამართლომ უნდა ისაუბროს.

საუბარია იმაზე, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ისეთ კონტექსტში, რომ ძალიან სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს.

***— მოსამართლეზეც დიდი ზეწოლა ხორციელდება. ამას ხომ ვერ უარყოფთ?***

— გეთანხმებით, რომ გარკვეულწილად მოსამართლის მიმართაც არის ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური განცხადებები, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ამას მოსამართლეები შეჩვეული არიან.

პრობლემა ის არის, რომ რუსთავი 2-თან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენა არ არის ხალვაშისათვის ამ ტელევიზიის დაბრუნება. რუსთავი 2-თან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენა არის მისი პირველი მფლობელებისთვის დაბრუნება. ხალვაში არის ადამიანი, რომელმაც ნაცმოძრაობასთან ერთად 2004 წელს ეს ტელეკომპანია მის დამფუძნებლებს წაართვა.

ხალვაში, უბრალოდ, იარაღი იყო ნაციონალური მოძრაობის ხელში, — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

# ნინო ბურჯანაძე: „ქვეყანას არ ჰყავს ადეკვატურად განწყობილი პრეზიდენტი და მთავრობა“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ქვეყანა თანდათან სახელმწიფოებრიობას კარგავს. როგორც ბურჯანაძე შექმნილი ვითარების კომენტირებისას აცხადებს, ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ყველანაირ ზღვარს სცდება.

**ნინო ბურჯანაძე:**

— ვხედავთ ყველა მხრიდან უმსგავსო პროცესს. ქვეყანას, უბრალოდ, არ ჰყავს ხელისუფლება, ადეკვატურად განწყობილი პრეზიდენტი და მთავრობა. თავის მხრივ, „ქართული ოცნება“ ცდილობს, არჩევნების წინ მაქსიმალურად სათავისოდ მოაქციოს სიტუაცია, ნაციონალური მოძრაობა კი, თავის მხრივ, ცდილობს, გააკეთოს ის, რასაც აკეთებდა 3 წლის განმავლობაში კოჰაბიტაციის დაწყებიდან. ვხედავთ იმასაც, რომ პოლიტიკოსები ცდილობენ, ამ პროცესით ისარგებლონ და საკუთარი ადგილი მოიპოვონ პოლიტიკური ცის ქვეშ.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ აბსოლუტური უუნარობის გამოვლინებაა ისიც, რომ რუსთავი 2-თან დაკავშირებით მიმდინარე პროცესთან მიმართებით ბევრ ადამიანს კითხვა გაუჩნდა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

*დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.*

*თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.*

*ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.*

**ლამარა თოდუა:**

- ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.
- ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.
- ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.

• • •

ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.

**მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166; №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82**

**მილოცვა**

**საქართველოს სატრანსპორტო საშუალებათა უშველებელი არმია, ჩხოროწყუს რაიონის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმძღვანელობა, ნათესაობა და მეგობრები დაბადებიდან 70 წლისა და „საჭესთან 50 წელი ავარიის გარეშე“ იუბილეს ულოცავენ**



## კუკური ჭიჭიკოს ძე გაბედავას

**და უსურვებენ დიდი ხნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ერისა და ქვეყნის სამსახურში.**

**მეგობრების სახელით, ნონა კაჭარავა**

# ასტროპროგნოზი

## 23 ოქტომბრისათვის



**ვერძი** — ემოციური განახლებისა და გამოცდის დროა. წარმატებისკენ დაუოკებელი სწრაფვა სასურველ შედეგს გამოიღებს. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გამოიჩინეთ. **კურო** — გარისკვა დღეს რეკომენდებული არ არის. ერიდეთ საეჭვო ნაცნობობას. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** — წინააღმდეგობრივი დღეა. საქმიანი წინადადებები, მაცდუნებელი დაპირებები ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. მიენდეთ ინტუიციას. **კირჩხიბი** — დაძაბული დღეა. გახსოვდეთ — ცხოვრება ბრძოლაა. ახალი იდეების განხორციელებას თამამად შეუდექით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ლომი** — ენერგიულობა და მიზანდასახულობა თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. გელით საინტერესო მოგზაურობა და სასიამოვნო ნაცნობობა. **ქალწული** — სახიფათო და მძიმე დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტი კოლეგებთან და უფროსობასთან. არჩევანის წინაშე დადგებით — სიამოვნება თუ გადაუდებელი საქმე? **სასწორი** — ნებისყოფა მოიკრიბეთ და დასახული მიზნისკენ სვლა არ შეანელოთ. წარმატება გელით კარიერასა და ფინანსურ ოპერაციებში. **ღრიანკალი** — იაქტიურეთ. შემოქმედებითი დღეა. თუ კარგად იმუშავებთ, შედეგიც არ დააყოვნებს. **მშვილდოსანი** — დღეს თქვენს საუკეთესო თვისებებს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ნებისმიერი საქმიანი წინადადება მხოლოდ გულმოდგინე ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **თხის რქა** — უფროსობა ცუდი თვალით გიყურებთ. დაფიქრდით, სად დაუშვით შეცდომა. ერიდეთ ხალხმრავლობასა და საქმის გარჩევებს. **მერწყული** — კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. რისკი გაამართლებს. ბავშვებთან ურთიერთობისას მეტი სითბო და ტაქტი გმართებთ. **თევზები** — პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. თქვენი დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 2. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 3. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 5. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 6. მთვარიანი ღამე; 8. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 11. სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე კონტრაბანდისტი აშშ-ში; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 15. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთისგან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისგან; 19. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში.

**თარაზულად**: 1. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. აეროპორტი ლონდონში; 7. სირიის დედაქალაქი; 9. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 10. დაგუბებული წყალი; 12. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანია; 16. ქართული ცეკვა; 17. რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 18. მუზეუმი ბერლინში; 20. საკვების ნორმა, ულუფა გარკვეული პერიოდისთვის; 21. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალპები; 2. საკი; 3. ზავენტემი; 4. ფარსი; 5. მალხაზი; 8. სინუსი; 9. ბურგუნდია; 12. ხოხობი; 14. მაკეტი; 16. ომარი.

**თარაზულად:** 1. ალგვასილი; 6. მადაფათა; 7. პარსეკი; 9. ბაზელი; 10. ბივა; 11. ჰუნტერი; 13. რამლი; 15. დომინო; 17. კიშლაკი; 18. მონეტა; 19. მესტია; 20. ვივალდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პირმშო; 2. სამება; 3. მონცა; 5. ტიპი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. მორჩილაძე; 13. ჩხავერი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. სუში.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. მაშტოცი; 7. რეზიუმე; 9. ცენტონი; 10. ამება; 12. ლიმონათი; 16. სამორინე; 17. შარიათი; 18. პროპოლისი; 20. ძოლქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

# ჯანეტ ქერდიყოშვილი მის სამყაროზე წარგვადგენს



უცხოური გამოცემების ინფორმაციით, მის საქართველო 2011 ჯანეტ ქერდიყოშვილი საქართველოს მის სამყარო 2015-ზე წარადგენს.

ინფორმაცია უკვე გავრცელდა ინტერნეტში, რაც თავად მოდელმაც დაადასტურა და ინსტაგრამზე ამის დამადასტურებელი ფოტოებიც გამოაქვეყნა.

– დიდი სიახლე!

ის დაბრუნდა! სასიხარულო ამბავი მათთვის, ვინც მას გასულ წელს გულშემატკივრობდით და, სამწუხაროდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მის სამყაროს ტიტულისთვის ბრძოლა ვერ მოახერხა, ამჯერად კი თავის სამშობლოს ლას-ვეგასში წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, ის მზად არის და საქართველოს ასახელებს. ჯანეტ ქერდიყოშვილი – მის საქართველო მის სამყარო 2015-ზე, – ასეთ განცხადებას აკეთებს გამოცემა „პერფექტ მისი“.

ჯანეტს კონკურსში მონაწილეობა 2013 წელსაც უნდა მიეღო, თუმცა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო კონკურსზე გამგზავრება ვერ შეძლო.

მის სამყარო 2015-ის კონკურსი ლას-ვეგასში 20 დეკემბერს გაიმართება.

# თეატრალური უნივერსიტეტის შენობას დანგრევა აღარ ემუქრება



შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობას დანგრევა აღარ ემუქრება. კულტურის სამინისტროს ინიციატივით უკვე დაიწყო სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ავარიული შენობების მასშტაბური რეაბილიტაცია.

თეატრალურ უნივერსიტეტში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაწყებულია. რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ამ დროისათვის მიმდინარეობს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, იწყება სამუშაოები ელექტროსამონტაჟო სისტემის, გათბობა-კონდიცირებისა და შიდა წყალგაყვანილობა-კანალიზაციის სისტემების მოსაწესრიგებლად. სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებს შპს „ხურო“ ახორციელებს.

თეატრალური უნივერსიტეტის რეაბილიტაციასთან ერთად, აქტიურ ფაზაშია შესული სამხატვრო აკადემიის შენობების რეაბილიტაციის პროცესიც. ამ ეტაპზე ხორციელდება კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სხვა დაწესებულების ავარიული შენობების რეაბილიტაციაც.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის სრული რეაბილიტაცია კი 2016 წლის მაისის პირველი რიცხვებისთვის დასრულდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მსახიობ ჯეიმს ფრანკოს ბარ-მიცვის წესი ჩაუტარდა

37 წლის ამერიკელმა მსახიობმა ჯეიმს ფრანკომ ჰოლივუდის თეატრ „პალადიუმში“ ებრაული წეს-ჩვეულება ბარ-მიცვა გაიარა, რომელიც იუდეველის მიერ ზრდასრული ასაკის მიღწევას აღნიშნავს.



ფრანკომ სინანული გამოთქვა იმის გამო. რომ თავის დროზე ვერ მოახერხა, მამაკაცი ებრაული წეს-ჩვეულებების მიხედვით გამხდარიყო (ამასთან, არ დაუკონკრეტებია, თუ რამ შეუშალა ხელი). რელიგიური წეს-ჩვეულება მსახიობმა 24 წლის დაგვიანებით ჩაიტარა.

ცერემონია ჰოლივუდის ვარსკვლავის კოლეგამ და მეგობარმა, მსახიობმა სესტ როგენმა ჩაატარა. დღესასწაულს მომღერალი მაილი საირუსი ესწრებოდა. ღონისძიების დროს შეგროვილ თანხას ორგანიზატორები ალცჰეიმერით დაავადებული ადამიანების დახმარების ფონდში გადარიცხავენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

ყოფილი სსი „თბილქალაქპროექტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქალაქგეგმარების სამმართველოს უფროსის, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის, არქიტექტურის დოქტორის

**გივი შავდიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მიშა გომიაშვილი საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ნომინაციაშია



ქართველი მსახიობი მიშა გომიაშვილი საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ნომინაციაზეა წარდგენილი. მოჰსენ მახმალბაფის ფილმ „პრეზიდენტში“ განსახიერებული მთავარი როლისთვის მსახიობი საერთაშორისო კინოფესტივალზე ერთ-ერთ ცენტრალურ ნომინაციაზე წარადგინეს.

ქართველი მსახიობი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის რიგით მეცხრე საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობს, რომელიც 26 ნოემბერს ავსტრალიის ქალაქ ბრიზბენში გაიმართება.

**მიშა გომიაშვილი:**

– ამ კინოფესტივალზე იმდენივე ვიცი, რამდენიც თქვენ... ვიცი მხოლოდ ის, რომ ტარდება ავსტრალიაში. 26 ნოემბერს გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი, რომელზეც დროისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო მე ვერ ვიქნები... კერძოდ, მიმდინარეობს გადაღება რეზო გიგინეიშვილის ახალი ფილმისა „მძევლები“, სადაც მე ვთამაშობ ერთ-ერთ ცენტრალურ როლს. გარდა ამისა, ცუდად მაქვს დაცდილი ფესტივალებზე ჩემი ყოფნა. სადაც კი ვიყავი არსად არც ფილმს და არც მე არანაირი პრიზი ან ჯილდო არ გვაღირსეს... და იქ, სადაც არ წავედი, ყველგან – ჩიკაგოშიც, ტოკიოშიც და სხვაგანაც მთავარი პრიზი ავიღეთ... ეს ისე, ნახევრად ხუმრობით...

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხვდა ფილმი ამ ფესტივალზე, ძალიან უბრალოდ, როგორც ყველა ფილმი ხვდება ფესტივალებზე... შერჩევის გზით...

***– ამ ნომინაციაზე ამავე კინოფესტივალზე სხვა ქართველი მსახიობი ყოფილა წარდგენილი?***

– ნამდვილად ვერ გეტყვით, მართლა არ ვიცი... ისე, რაღა დაგიმალოთ და მეც მაინტერესებს... თუ რაიმეს გაიგებთ, ძალიან გთხოვთ, მეც შემატყობინეთ...

# რეზო კიკნაძე ღირსების ორდენით დააჯილდოეს



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი რეზო კიკნაძე ღირსების ორდენით დააჯილდოეს.

ჯილდოს გადასაცემად კონსერვატორიას პოლონეთის კულტურის მინისტრის მოადგილე მონიკა სმოლენი, პოლონეთის ელჩი საქართველოში ანდრეი ჩიეშკოვსკი და პოლონური დელეგაციის სხვა წევრები ეწვივნენ.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას პოლონეთის სამი ქალაქის კრაკოვის, პოზნანისა და კატოიცის მუსიკის აკადემიებთან ორმხრივი ურთიერთობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული, წელს მიღებული აქვს ერასმუსი კრაკოვის მუსიკის აკადემიასთან. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტთან ერთად ხშირად ხორციელდება პროექტები, განსაკუთრებით – სტუდენტური ორკესტრის კუთხით. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ყოველ წელს აგზავნის სტუდენტებს პოლონურ პროექტში, სადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გამორჩეული სტუდენტები მონაწილეობენ.

# ნაციონალურ მოძრაობას ბოდიში აქვს მოსახდელი ქართველი ხალხის წინაშე

დასაწყისი მე-7 გვერდზე

კვლევაში „პრესის თავისუფლება 2014“ სულ 197 ქვეყანა მონაწილეობდა. აქედან 63 (32%) პრესის თვალსაზრისით შეფასდა როგორც „თავისუფალი“, 68 (35%) – „ნაწილობრივ თავისუფალი“, 66 (33%) კი – „არათავისუფალი“.

ქვეყანა ქულას საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შეფასებით იღებს.

კვლევის თანახმად, საქართველოს ყველაზე კარგი მდგომარეობა საკანონმდებლო თვალსაზრისით აქვს, რადგან ამ პარამეტრში 12 ქულა აქვს, ყველაზე ცუდი კი პოლიტიკის მიმართულებით – 19 ქულა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა 16 ქულით შეფასდა.

❖ ❖ ❖

– თავისუფალი მედია არის ქართული საზოგადოების უდავოდ დიდი მონაპოვარი. დღეს მედია აბსოლუტურად თავისუფალია სამთავრობო გავლენებისგან. ჟურნალისტებს საშუალება აქვთ, საკუთარი პრინციპებისა და პროფესიული კეთილსინდისიერების შესაბამისად იმუშაონ, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2014 წლის განმავლობაში პოლიციელების მიერ ჟურნალისტისთვის შეურაცხყოფის მიყენების ან კამერის კონფისკაციის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

– მუნიციპალური არჩევნების წინა პერიოდში მედია გარემო იყო დაბალანსებული და შეუფერხებელი, მედია ინფორმაციას ავრცელებდა საქართველოში მომუშავე საერთაშორისო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებზე დაყრდნობით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სატელევიზიო არხების საკუთრების და ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ გაუმჯობესდა 2013 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

❖ ❖ ❖

რაც შეეხება დღევანდელ რეალობას.

პროცესების გამჭვირვალობას ისიც ადასტურებს, რომ „რუსთავი-2“-ის საქმეში ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი და საელჩოს წარმომადგენლები. საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის ალექსანდრა ჰოლ ჰოლის განცხადებით, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ საქმეს ის დიდი ინტერესით აკვირდება. მისივე შეფასებით, საქართველოში მედია თავისუფალია.

– ყველა, ვისაც ამ მხრივ ინტერესი გაგვაჩნია, აღფრთოვანებულები ვართ დემოკრატიის მხრივ საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესით და დიდი ინტერესით ვაკვირდებით „რუსთავი 2“-ის საქმეს. მე და ჩემი კოლეგები თვალყურს ვადევნებთ ამ საქმეს და გვაინტერესებს, რა მოხდება ამ კვირაში. ეს სასამართლო პროცესია და რაც არ უნდა მოხდეს სასამართლოში, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს კვლავ აქვს მედიის თავისუფლება და მთელი პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით, არსებობს შესაძლებლობა, გამოითქვას განსხვავებული მოსაზრებები ქართული მედიის შესახებ. ერთ წელიწადში საქართველოს არჩევნები ელის, რაც საშუალებას მისცემს, კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ რეგიონში დემოკრატია არსებობს, – განაცხადა ჰოლ ჰოლიმ.

და ამის ფონზე პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებას ლოგიკური კომენტარი გაუკეთა პრემიერმა. მისი თქმით, პრეზიდენტის სიტყვები არის ზეწოლა სასამართლოზე და მოსამართლის საქმიანობაში კონკრეტული მხარის სასარგებლოდ ჩარევა. ეს ხელს უწყობს ნაციონალური მოძრაობის მცდელობას, „რუსთავი 2“-ის საქმე გავიდეს სამართლებრივი სივრციდან და პოლიტიკური დავის საგნად წარმოჩნდეს.

გარდა ამისა, გაუგებარია, რა ამოძრავებს პრეზიდენტს, როდესაც უადგილოდ ახსენებს ისეთ სენსიტიურ ფრაზას, როგორიც კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებაა.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ის, რასაც ამ ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს.

ნაციონალურ მოძრაობას ბოდიში აქვს მოსახდელი ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ ისინი ბოდიშის მოხდის ნაცვლად ცდილობენ, სიტუაცია მაქსიმალურად დაძაბონ და პროცესები ისე წარმართონ, რომ ქვეყანას საერთაშორისო პარტნიორებთან პრობლემები შეექმნას.

სხვანაირად მათი ქმედებები ვერ აიხსნება. მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნიკა გვარამიას საქმის გამოძიება ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება, მიუხედავად იმისა, პროვოკაციაა ეს, თუ არის მასში სიმართლისმაგვარი რაიმე მარცვალი.

„რუსთავი 2“-ის ეზოში კარვების, თუ საწოლების დადგმით ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, სასამართლო პროცესს პოლიტიკური დაპირისპირების სახე მისცეს და რამენაირად სახალხო პროტესტს დაამსგავსოს, რაც საზოგადოების განწყობიდან და აქციებზე მისული მათი მხარდამჭერების რაოდენობიდან გამომდინარე აშკარად ჩანს, რომ შეუძლებელია.

ვერც სააკაშვილის მიერ დავალებული კარვების გაშლა და ვერც ეს უსაფუძვლო პანიკა, მათ საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მოაპოვებინებს.

„რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო და რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება, მას ვერავინ შეცვლის, ვერც ოპოზიცია და ვერც – ხელისუფლება.



# TV პროგრამა

**პარასკევი 23 ოქტომბერი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **14.05** მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. ""**ნიკიტა**" **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.00** მხ/ფ "**კიდევ ერთი წელი**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**კონსპირატორი**"

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **11.00** დ/ფ "ევროპა XXI დამალული ეპიდემია" **12.00** მხ/ფ "**მზე სულში**" **14.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **2** სერ. **16.00** დ/ფ "ლეტეცია და მისი მგლები" **18.00** დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **3** სერ. **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**წყვდიადი**" II ნაწ.

**06.00** სერ. "**კარმა**" **06.30** სერ. "**ბოშა ქალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**საიდუმლო**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სერ. "**ჟუმონგი**" **00.30** მხ/ფ "**წითელი ნათება**" (რ.დე ნირო) **02.40** მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო**" (მ.შინი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00** ელიტ მოდელ ლუქი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი-ხალხური მედიცინა **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი **17.00** დ/ფ **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-"ნეკრესი" (ლაგოდეხი) **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სვანეთი-ფესვთა ღაღადი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05, 17.05** **სერიალი "ტატიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** **სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "პენტაგონი" **23.00** **სერიალი "ჩემი საყვარელი და"** **1.30** **სერიალი "ტატიანა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.39
ევრო — 2.7102
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6872
100 რუსული რუბლი — 3.8078

## ამინდის პროგნოზი 23 ოქტომბრისთვის






კალეიდოსკოპი

# ჰილარი კლინტონის სახე თმის სამაგრებზე

აშშ-ის პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატის ჰილარი კლინტონის მომხრეებმა მორგან ჯერარდმა და მერედიტ ფაიმანმა კოლუმბიის ფედერალური ოლქიდან გახსნეს ვებგვერდი, რომელზეც პოლიტიკოსის გამოსახულებიანი რეზინის თმის სამაგრები და ბანდანები იყიდება.



ვებგვერდზე გამოჩენილი აქსესუარების ფასია 9,99-დან 10,99 დოლარამდე. უახლოეს მომავალში მწარმოებლები ასევე გეგმავენ მსგავსი აქსესუარების ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლის მიშელ ობამას გამოსახულებით გამოშვებას.

როგორც ჯერარდმა და ფაიმანმა განმარტეს, თავდაპირველად მათი მაღაზიის ასორტიმენტში მხოლოდ თმის სამაგრი რეზინები შედიოდა, მოგვიანებით კი ბანდანებიც გამოჩნდა, რამაც მამაკაცებიც მიიზიდა.

თმისთვის განკუთვნილი აქსესუარების დამზადება 28 წლის მორგანმა და 26 წლის მერედიტმა მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყეს, რათა ამით მხარი დაუჭირონ ჰილარი კლინტონს.

# ქეთა თოფურია თავის პირველ კოლექციას წარადგენს



მას შემდეგ, რაც ქეთა თოფურია დედა გახდა, კიდევ უფრო გააქტიურდა და ერთდროულად რამდენიმე საქმეს უძღვება. ქეთა უკვე აქტიურად დაუბრუნდა სცენას და „ა სტუდიოსთან“ ერთად სხვადასხვა ქვეყანაში მართავს კონცერტებს, საქართველოში ახალი ქართული ხმის მწვრთნელია და ეტაპობრივად უწევს ჩამოსვლა და ჩაწერებში მონაწილეობა, პარალელურად კი, როგორც დიზაინერი, ახალ კოლექციებზე მუშაობს.

მომღერალი ქეთა თოფურია საზოგადოების წინაშე პირველად წარდგება დიზაინერის ამპლუაში და თავის პირველ კოლექციას წარადგენს. ქეთა მონაწილეობს მერსედეს ბენცის მოდის კვირეულში, რომელიც წელს რუსეთში იმართება. ქეთა თავისი ბრენდის „ქეთევანის“ სახელის მოდის სიახლეების მოყვარულებს თავისი დიზაინით შექმნილ კოლექციას შესთავაზებს.

ქეთა თოფურიას გარდა, მერსედეს ბენცის მოდის კვირეულში სხვა ქართველი დიზაინერებიც მონაწილეობენ. მოდის კრიტიკოსებისა და ბაერებისთვის თავის უახლეს კოლექციებს გამოიტანენ დიანა ქვარიანი და რუსეთში გადახვეწილი გოგა ნიქაბაძე.

ქეთა თოფურიამ დიზაინერობა მეგობრების დაჟინებული თხოვნის შემდეგ დაიწყო.

ამჟერად ქეთა რუსეთში გამართულ გრანდიოზულ მოდის კვირეულზე თავის უახლეს კოლექციას 23 ოქტომბერს წარადგენს.

*ეკა ირემაშვილი*

# სხვადასხვა ფერის თვალებიანი მოდელი ვარსკვლავად იქცა

ამერიკელი მოდელი სარა მაკდენიელი ინტერნეტის ვარსკვლავად საკუთარი თვალების ჰეტეროქრომიის წყალობით იქცა. 20 წლის მანეკენის აკაუნტს ინსტაგრამში დაახლოებით 48 ათასი თაყვანისმცემელი ჰყავს.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტმომხმარებლების ყურადღება სწორედ გოგონას სხვადასხვა ფერის თვალებმა მიიპყრო. მას ერთი თვალი – ცისფერი, ხოლო მეორე ყავისფერი აქვს. ფოტოსურათები, რომლებზეც გოგონაა აღბეჭდილი, მინიმუმ ორი ათას მოწონებას აგროვებს.

სოციალურ ქსელში მოპოვებული პოპულარობა გოგონას სამოდელო ბიზნესში წარმატების მიღწევაშიც დაეხმარა. თავად მაკდენიელი ამტკიცებს, რომ ამაყობს თავისი სხვადასხვა ფერის თვალებით, რომელიც მას ასე გამოარჩევს თავისი კოლეგებისგან.



თვალების ჰეტეროქრომია არის მოვლენა, რომლის დროსაც თვალების გარსები მთლიანად ან მისი ცალკეული მონაკვეთები ერთმანეთისგან განსხვავდება. ის შეიძლება იყოს მემკვიდრეობითი ან შეძენილი, ასევე სრული, ნაწილობრივი (სექტორული) და ცენტრალური. სრული ჰეტეროქრომიის შემთხვევაში თვალები სხვადასხვა ფერისაა, ამასთან, უფრო ხშირად ერთ თვალი ცისფერია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ფერნანდო იერო: „არ გაგიკვირდეთ, თუ თბილისში ოჯახთან ერთად მოსაირნეს მნახავთ“



ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის რეალის ყოფილი კაპიტანი ფერნანდო იერო თბილისში იმყოფებოდა და ჟურნალისტებთან პრესკონფერენცია გამართა.

იეროს ჩამოსვლის ორგანიზატორი საფეხბურთო კლუბი საბურთალო იყო, რომლის გენერალური მდივანი კახა ჭუმბურიძე ჟურნალისტებთან შეხვედრას ესწრებოდა.

**ფერნანდო იერო:**

– მადლობა სტუმართმოყვარეობისთვის. ვისაც შევხვდი, ყველასგან სითბო და დადებითი ენერგია მივიღე. ჩემი ვიზიტის მიზეზი მეგობრული ურთიერთობაა, რომელიც მე და კახას საერთო მეგობრიდან გამომდინარე ჩამოგვიყალიბდა. მას შევპირდი, რომ ჩამოვიდოდი და ყველანაირად მოვინდომე, ამის დრო გამომენახა.

კმაყოფილი ვარ, რადგან საინტერესო ვიზიტი აღმოჩნდა. პირველ რიგში, მაინტერესებდა მენახა საფეხბურთო კლუბი საბურთალო, რომელმაც ნოლიდან დაიწყო და ახლა უკვე ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს.

***– კარიერის დასრულების შემდეგ 4 წელი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ დირექტორად იმუშავეთ და ამ ხნის განმავლობაში ესპანეთის ნაკრებმა ზედიზედ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგო.***

– რეალში კარიერა 2003 წელს დავასრულე. შემდეგ ყატარსა და ბოლტონში ვითამაშე. სამშობლოში დაბრუნებულმა გადავწყვიტე, მწვრთნელის ლიცენზია ამეღო და დირექტორად მემუშავა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობით დიდი გამოცდილება მივიღე.

2007 წლამდე ფედერაციას სპორტული დირექტორი არ ჰყავდა. ჩემს მოვალეობაში შედიოდა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა – ბავშვებში ემოცია და ფეხბურთის ინტერესი გამეღვივებინა, რაც მომავალში ეროვნულ ნაკრებს გამოდგებოდა, რომელიც ქვეყნის სახეა.

მუშაობის 80 პროცენტს ასეთი ბავშვების შერჩევა წარმოადგენდა. ფედერაციაში მუშაობის მერე, მალაგაში დავბრუნდი, რომელიც ჩემი მშობლიური მხარეა. მოგვიანებით კი, რეალში კარლო ანჩელოტისთან ვთანამშრომლობდი.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ლელა მებურიშვილი: „არ მინდოდა სერიალის დატოვება“

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ მერვე სეზონი სიახლეებით დაიწყო. სერიალში პირველი კატო დააბრუნეს და ლელა მებურიშვილი კვლავ ნინო გაჩეჩილაძემ ჩაანაცვლა.

როგორც ამბობენ, ლელა სერიალიდან მას შემდეგ გაუშვეს, რაც მან ტელეკომპანია იმედში გადაწყვიტა მუშაობა. სერიალს ჩამოაშორეს მსახიობი ეკა ამირეჯიბიც. მიზეზი მასთანაც იგივეა – იმედში გადასვლა.



როგორც ლელა მებურიშვილი ამბობს, მას არ უნდოდა სერიალის დატოვება, მაგრამ „ჩემი ცოლის დაქალების“ ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მსახიობს არ სურს დეტალებზე საუბარი, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება მაინც მოუხდა:

– დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, იმიტომ რომ მე და „ფორმულა კრეატივის“ წევრები მეგობრები ვართ. არ მინდოდა სერიალის დატოვება, მაგრამ მომიხდა ამ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, სერიალის შემქმნელებთან უთანხმოება არ მქონია. როცა „იმედმა“ თანამშრომლობა შემომთავაზა, ეს ირაკლი საღინაძეს ვუთხარი. დაიწერა, ლელა მებურიშვილი რუსთავი 2-დან იმედზე გადაბარგდაო, რაც არასწორია. ერთ წელიწადზე მეტია, რაც რუსთავი 2-ის თანამშრომელი აღარ ვარ. მე „ფორმულა კრეატივის“ თანამშრომელი ვიყავი, რომელიც ქმნის სერიალს „ჩემი ცოლის დაქალები“.

ნინო გაჩეჩილაძის დაბრუნება, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო. ნინო ძალიან უხდება ამ როლს და კარგადაც თამაშობს. ნინოსთან კარგი ურთიერთობა მაქვს. როცა კატოს როლი შემომთავაზეს, ჯერ ნინოს დავურეკე. მან მეგობრულად მირჩია, ძალიან კარგი სერიალია და უარი არ თქვაო. სერიალში დაბრუნების შემდეგ მასთან ურთიერთობა არ მქონია.

*ეკა ირემაშვილი*

# იუმორი



ბინტში გახვეულს მეგობარი ეკითხება:

– რა დაგემართა?

– გუშინ მანქანით მივდიოდი და ლაშამ ისე ჩამიქროლა თავისი ახალი მერსედესით, რომ ჩემი მანქანა გაჩერებული მეგონა და გადმოვედი!

•••

სასადილოში შესული ზანგი მებუფეტეს მიაშტერდა. მებუფეტემ ველარ მოითმინა და ეუბნება:

– რავა მომშტერებიხარ, გენაცვალე, თითქოს მე ვიყო ზანგი და შენ კიდევ ქუთაისელი!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, თურმე გივი ვენაში იჩხირავს ნემსებს?!

– ეგ შობელძაღლი ვენაში რომ არ წავიდეს, აქ ვერ გაიჩხირავს?!

•••

თანამშრომელი მომავალ სასიძოს ეკითხება:

– შენი საცოლის შიშველი ფოტოსურათები გაქვს?

– არა, რა თქმა უნდა.

– გინდა, გადმოგიგზავნო?

•••

შვილი მამასთან მივა და ეკითხება:

– მამი, გახსოვს, რომ დამპირდი, მეხუთე კლასში თუ გადახვალ, 100 ლარს მოგცემო?

– მახსოვს, მერე?

– ჰოდა, 100 ლარი დაგიზოგე!

•••

ოსს ეკითხებიან:

– ტყეს ხედავ?

– ველა, სენი წილიმე, ხეები მეფალება.

•••

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– აი, ექიმო, ჩვენც მოვედით.

– ვინ თქვენ?

– მე და ჩემი ჭიები.

•••

პროგრამისტმა შვილს ვინდოუსი დაარქვა და ღამით, როგორც კი ბავშვი ტირილს იწყებს, ცოლს ეუბნება:

– მიდი, ქალო, ვინდოუსი გადააყენე!

•••

ერთი შინაბერა მეორეს ეუბნება:

– ჩემს მეზობელ ლამარას რა ბედი აქვს!

– რა მოხდა?

– გათხოვდა, საყვარელიც ჰყავს და ორი დღის წინ გააუპატიურეს კიდეც!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი

**შვეულად**: 1. მიზანში ზუსტად მსროლელი; 2. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 3. სამხედრო-საზღვაო ფლოტში ოფიცერი, რომელიც ამარაგებს გემს სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით; 4. ცნობილი უნგრელი ფეხბურთის მსაჯი; 5. მსუსხავი ბალახი; 7. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 9. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 12. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 14. ქერისა და ფეტვისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 19. იორდანიის დედაქალაქი.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმანთა მარხვა; 7. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა; 12. სხვა ქვეყანაში საიდუმლო, საგანგებო დავალებით შეგზავნილი პირი; 13. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 15. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე; 17. არათვითმავალი სამდინარო გემი; 19. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

